

« ნემროლოგია »

/ხანგრძლივობა - 3 წ. - 33 თვე/

I. ზოგადი დებულებები.

• პროგრამის მიზანი და ამოცანები

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში ჯანდაცვის სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა და ამ სივრცეში აღიარებული სპეციალისტის ტრენინგების დამადასტურებელი სერტიფიკატის მოთხოვნამ, დღის წესრიგში დააყენა ცვლილებების აუცილებლობა პოსტდიალომურ განათლებაში. სარეზიდენტო განათლება წარმოადგენს სამედიცინო განათლების კონტინუუმის ნაწილს, რომელსაც წინ უსწრებს პრედიპლომური (ბაზისური) სამედიცინო განათლება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით (დიპლომირებული მედიკოსი, Medical Doctor) და მანდატორულად მოსდევს უწყვეტი სამედიცინო განათლება/უწყვეტი პროფესიული განვითარება. სამედიცინო განათლების/ტრენინგის ეს ფაზა ექვემდებარება სპეციფიკურ რეგულაციებსა და წესებს. ტრენინგი მიმდინარეობს კლინიკურ გარემოში, სადაც ახალგაზრდა ექიმი წრთობას გადის უფრო გამოცდილი კოლეგის მეთვალყურეობის ქვეშ. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია რეზიდენტის კლინიკური და აკადემიური მუშაობის მთელს პროცესზე.

წარმოდგენილი სარეზიდენტო პროგრამა შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ითვალისწინებს საქართველოში არსებულ ვითარებას, კერძოდ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანდაცვის სისტემის სპეციფიკას, მოსახლეობის ნევროლოგიური ჯანმრთელობისა და ავადობის სპექტრს, ნევროლოგიის სწავლების დიდ ტრადიციას. პროგრამის ქვაკუთხედს ნევროლოგიურ პაციენტებზე ორგანიზებული და პასუხისმგებლობიანი ზრუნვა წარმოადგენს. აღნიშნული მიდწევა კლინიკის/უნივერსიტეტის შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის (Faculty) ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის პირობებში. ნევროლოგიური უნარ-ჩვევები იგება როგორც განტოტება ძირითადი სამედიცინო ცოდნის ხისა. სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში ბაზისურ და კლინიკურ სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილებიდან გამომდინარე სასწავლო კურსის დასრულებისათვის რეზიდენტს უკვე ჩამოყალიბებული აქვს ზრდასრული ნევროლოგიის კლინიკური აზროვნება, გააჩნია ინტერესი სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, კარგად აქვს განვითარებული აკადემიური, ანუ საგანმანათლებლო უნარ-ჩვევები. წრთობის პროცესი, რომელშიც მონაწილეობს რეზიდენტი, ემსახურება არა მხოლოდ სწავლების ობიექტისათვის (დამწყები რეზიდენტი) ცოდნის გადაცემას, არამედ აუმჯობესებს რეზიდენტის დიდაქტიკურ უნარებს, განამტკიცებს დარგობრივ ცოდნას და ეხმარება მას კლინიკურ საქმიანობაშიც. სარეზიდენტო განათლების უწყვეტობა პროგრამის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. იგი ამზადებს რეზიდენტს სამედიცინო საქმის შესწავლის უწყვეტობის კონცეფციისათვის და საფუძველს უყრის “მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის” (life-long learning) პრინციპებს. ამგვარი ტიპის რეზიდენტურა უზრუნველყოფს სრულყოფილ საგანმანათლებლო სივრცეს დიდაქტიკური და კლინიკური კომპონენტების სრული სპექტრით.

სარეზიდენტო პროგრამის უმთავრესი მიზანი და ამოცანებია:

- მაღალი კვალიფიკაციის, ექსპერტის თვისებების მქონე, ექიმ-სპეციალისტის მომზადება დამოუკიდებელი ნევროლოგიური პრაქტიკისათვის მაქსიმალური პასუხისმგებლობით პოსტიტალური და ამბულატორული პაციენტების მიმართ ტრენინგების შეთავაზებით კლინიკურ გარემოში გამოცდილი აკადემიური გუნდის მეთვალყურეობით; დიდაქტიკური და კლინიკური გამოცდილების კონტინუუმის უზრუნველყოფა, რაც საშუალებას მისცემს რეზიდენტს იყოს ყოველმხრივ მომზადებული კვალიფიცირებული და დამოუკიდებელი საქმიანობისათვის;
- პროფესიული სტანდარტის შესაბამისად სპეციალობის მაძიებლის მზადება სამედიცინო პრაქტიკის საკვანძო კომპეტენციებში: პაციენტზე ზრუნვა (მეურვეობა), სამედიცინო ცოდნა, ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და მისი სრულყოფა, პროფესიონალიზმი, სისტემაზე დაფუძნებული პრაქტიკა.

- ბაზისური ნეირომეცნიერებების საფუძვლიანი და ორგანიზებული სწავლების პროცესის შეთავაზება;
- ბაზისური ნეირომეცნიერებების და კლინიკური ნევროლოგიის სფეროში მკვლევარის კარიერის ხელშეწყობა და განვითარება;
- ნევროლოგიის ისტორიის და დარგის მდიდარი ტრადიციების გაცნობა;
- წარმატებულ, პატიოსან, გულისხმიერ, კომუნიკაბელურ ექიმად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი პერსონალური თვისებების შექმნა. ნევროლოგიური დაავადებით პაციენტებზე ზრუნვისათვის აუცილებელი ადგილობრივი ტაქტიკის ადლოს ჩამოყალიბება და პოლისტური მიდგომის დანერგვა. ექიმ-პოსტიტალისტის ჩვევების, აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების გამომუშავება და მაღალი პასუხისმგებლობით განხორციელება;
- თანამედროვე სამედიცინო დებულებებისა და შეხედულებების ათვისება, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილი კლინიკური აზროვნების განვითარებას;
- ძირითადი სამეცნიერო ტენდენციების მიმართ ინტერესის ჩამოყალიბება;
- “მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის” (life-long learning) უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ნევროლოგიური დაავადების მქონე პაციენტების მიმართ ინტეგრალური (მულტიდისციპლინური) მიდგომის პრინციპების გამომუშავება.

• **სპეციალისტის აღზრდილობა (პროგრამით გათვალისწინებული)**

ნევროლოგი – არის ექიმი სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს ნერვული სისტემის (ნევროლოგიური) დაავადებების დიაგნოზირებას, მკურნალობას და აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ლიცენზია. იგი მოვალეა განახორციელოს ნევროლოგიური დაავადებების ეფექტური და ეთიკური მართვა საბაზისო და კლინიკური ნეირომედიცინის სრულყოფილი ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობისა და კომუნიკაციური, ორგანიზატორული შესაძლებლობების დემონსტრირების საფუძველზე.

უმაღლესი ხარისხის პასუხისმგებლობიანი ნევროლოგიური მეურვეობის მიღწევა პროფესიული სტანდარტის ეკვივალენტია. ექიმის პროფესიული ქცევა ეყრდნობა ტრადიციულ სამედიცინო ეთიკურ ნორმებსა და ნევროლოგიური პრაქტიკის სპეციფიკიდან გამომდინარე სტანდარტებს. ეს სტანდარტებია: ნევროლოგისა და პაციენტის ურთიერთობა, დიფერენცირებული მიდგომა განსხვავებული კატეგორიის პაციენტებთან (პაციენტები ტვინის სიკვდილით, ვეგეტატიური მდგომარეობით, დემენტური, ფიზიკურად უნარშეზღუდული და ა.შ.), ექიმის ქცევა და მორალი, ინტერესთა კონფლიქტი, ურთიერთობა სამედიცინო სფეროს სხვა პროფესიონალებთან, კავშირები მიკროსოციალურ გარემოსთან, საზოგადოებრივი ურთიერთობები, კლინიკური კვლევები და აკადემიური საქმიანობა.

ექიმი – ნევროლოგი ვალდებულია დაეუფლოს და იხელმძღვანელოს:

- საქართველოს კანონით “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”;
- საქართველოს კანონით “საექიმო საქმიანობის შესახებ”;
- საქართველოს კანონით “პაციენტის უფლებების შესახებ”;
- პროფესიული პასუხისმგებლობის სტანდარტებით, კარგი სამედიცინო პრაქტიკის (good medical practice) მეთოდოლოგიით და გამიჯნოს იგი უხარისხო (malpractice) პრაქტიკისაგან;
- ზოგად სამედიცინო მენეჯმენტს, მათ შორის კრიზისული სიტუაციების მართვის, დროის მენეჯმენტს, ჯგუფური მუშაობის პრინციპებს, კლინიკური შემთხვევისადმი მულტიდისციპლინურ მიდგომას; გაითვალისწინოს ნევროლოგიური პათოლოგიის ეკონომიკური ასპექტები;
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესებს;
- ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ახალ სამკურნალო საშუალებებს და კრიტიკული ანალიზის შემდეგ გამოიყენოს ისინი;
- იურიდიული ასპექტებით ინფორმირებული თანხმობის მიღებისას პაციენტის ჩასართავად კლინიკურ კვლევებში;
- მონაცემთა ბაზის შეგროვების მეთოდოლოგიას, სტატისტიკას, მტკიცებითი მედიცინის მონაცემთა ინტერპრეტაციას;
- ადამიანებთან (კოლეგები, პაციენტის ახლობლები, ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვ.) ურთიერთობის ქცევის წესებს, კონფლიქტური სიტუაციების მენეჯმენტს;
- წერილობითი და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებს.

რეზიდენტურის პროგრამის დასრულების შემდეგ სპეციალობის მაძიებელი უნდა ფლობდეს პროფესიული საქმიანობის საკანძო კომპეტენციებს, განახორციელოს ეფექტური მუშაობა როგორც გამოცდილმა ექიმმა, რომელსაც შეუძლია კლინიკური დასკვის ჩამოყალიბება, გააჩნდეს ეფექტური კომუნიკაციის უნარი, ჯგუფური მუშაობის ჩვევები (კოლაბორატორი), გახდეს გარკვეულწილად მენეჯერი, ჯანდაცვის ადვოკატი, scholar-ი (მოსწავლე) და პროფესიონალი. სპეციალობის მაძიებელს მოეთხოვება:

- პაციენტის მეურვეობისას გამოავლინოს დიაგნოსტიკური და თერაპიული უნარები ეთიკური ნორმების დაცვით და ეფექტურად;
- მოიძიოს შესაბამისი ინფორმაცია და გამოიყენოს კლინიკურ პრაქტიკაში;
- პაციენტის მეურვეობის კანონიერ ჩარხებში აწარმოოს ეფექტური საკონსულტაციო საქმიანობა;
- გამოიმუშაოს კლინიკური და ტექნიკური საქმიანობის უნარ-ჩვევები, კერძოდ:
სრულყოფილი ნევროლოგიური ანამნეზი (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მონაცემების მოპოვება), მისი შეფასება და ანალიზი;

სრულფასოვანი ფიზიკალური გამოკვლევა;

ნევროლოგიურ დარღვევათა სრულყოფილი, მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტური დიაგნოზირება და მართვა;

ნევროლოგიური და მენტალური სტატუსის გამოკვლევა; სინდრომული და ლოკალიზაციური დიაგნოსტიკის წარმოება;

წინასწარი და დიფერენციალური დიაგნოზის ფორმულირება;

შესაბამისი დამატებითი გამოკვლევების დაგეგმვა, წარმოება და შედეგების სწორი ინტერპრეტაცია (ლუმბალური პუნქციის წარმოება; პროზერიინის ტესტის შესრულება; მხედველობის სიმასხვილის განსაზღვრა, პერიმეტრია და თვალის ფსკერის დათვალიერება; კოლორიული სინჯების წარმოება; CT, MRT-ულ ტომოგრაფიებზე, რენტგენოგრაფიებზე, ეეგ-ზე, ენმგ-ზე პათოლოგიური ცვლილებების გამოავლენა; გამოწვეული პოტენცილების და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის მონაცემების შეფასება);

ნერვულ დაავადებათა ოპტიმალური მკურნალობის შემუშავება კლინიკური ფარმაკოლოგიის გათვალისწინებით.

- კლინიკური კომპეტენტურობა და საფუძვლიანი სამედიცინო ცოდის დაუფლება:

ძირითად ნევროლოგიურ დაავადებათა კლინიკური ნიშნებში; დაავადების დებიუტის სიმპტომატიკა, მიმდინარეობა და პროგნოზი;

ძირითადი ფსიქიატრიული სინდრომების კლინიკური ნიშნები მათი ნეიროქიმიური საფუძვლებით;

ნერვული სისტემის ემბრიონალური განვითარება და ამ ეტაპზე კონგენიტალური ანომალიების აღმოცენება;

ნერვული სისტემის, ნერვული ფესვების, პერიფერიული ნერვების, კუნთების, ნერვული სისტემის სისხლძარღვების მიკრო და მაკროსკოპული ანატომია;

მიელინის ანატომია, ფიზიოლოგია, შემადგენლობა;

მოსვენების პოტენციალის, მოქმედების პოტენციალის და სინაფსური ტრანსმისიის მექანიზმები;

აქსონალური ტრანსპორტი;

ძირითადი ნეიროტრანსმიტერები, ნეირომოდულატორები და მათი კლინიკური მნიშვნელობა. ნერვული სისტემის ტროფული ფაქტორების მნიშვნელობა;

თაგ-ზურგ-ტვინის სითხის პროდუქცია და ცირკულაცია;

ჰემატო-ენცეფალური, ჰემატო-ლიქვორული, ჰემატო-ნერვული ბარიერების ბიოლოგიური საფუძველი და მათი კლინიკური მნიშვნელობა ნორმასა და პათოლოგიაში;

ცერებრული სისხლნაკადი და ცერებრული მეტაბოლიზმი;

იმუნური სისტემის როლი ნევროლოგიურ დარღვევათა გენეზში;

ცნობიერების, ძილ-ღვიძილის ანატომიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები;

მეტყველების, მეხსიერების, დასწავლის და ქცევის ანატომიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები;

სენსორული, სპეციალური სენსორული, მოტორული, ავტონომური, ლიმბური და რეტიკულური გამააქტივებელი სისტემების ანატომიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები;

თავის ტვინის ქერქის, ქერქქვეშა ბირთვების, თალამუსის, ნათხემის, რეტიკულური გამააქტივებელი სისტემის, სუნთქვის ცენტრებისა და ლიმბური ცენტრების ფიზიოლოგია;

ნორმალური ნევროლოგიური სტატუსის ანატომიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები ასაკის ფაქტორის გათვალისწინებით;

ძირითადი ნევროლოგიური დაავადებების, პირველადი და მეორადი ნევროლოგიური დარღვევების (გულყრა, სპასტიკა, ტრემორი, აფაზია და სხვ.) სიმპტომებისა და მიზეზების პათოფიზიოლოგია;

ძირითადი კლინიკური გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაციის საფუძვლები (ლუმბალური პუნქცია, მხედველობის სიმასხვილე, პერიმეტრია, თვალის ფსკერი, კოლორიული სინჯები, CT, MRI, X-ray, ეეგ, ენმგ, გამოწვეული პოტენციალები, ულტრაბერითი დიაგნოსტიკა); კლინიკური მდგომარეობის გათვალისწინებით გამოკვლევის ჩვენებები, შესაძლებლობის პოტენციალი, უკუჩვენებები;

ნევროლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებადი ძირითადი პრეპარატების ჩვენებები, გვერდითი მოვლენები, უსაფრთხოება და დოზირება, მოქმედების მექანიზმი, ტერატოგენური ეფექტი;

პლაზმაფერეზის მოქმედების მექანიზმი, მისი გონივრული გამოყენება სპეციფიური ნევროლოგიური დაავადებების დროს;

ნეიროქირურგიის როლი ნერვულ დაავადებათა მკურნალობაში, ჩვენებები და უკუჩვენებები;

ნეირორეაბილიტაციის და ოკუპაციური თერაპიის როლი ნერვულ დაავადებათა მკურნალობაში;

პისტოპათოლოგიური რეაქციების საფუძველი, პათოლოგიური ცვლილებები ძირითადი ნევროლოგიური დაავადებების დროს;

ნერვული სისტემის ინფექციური დაავადებები;

კლინიკური გენეტიკის საფუძვლები, ქრომოსომული პათოლოგიები, მემკვიდრეობითობის ტიპები, გენური ლოკალიზაციის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა. მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დეფექტებით განპირობებულ ძირითად ნევროლოგიურ სინდრომთა ბიოქიმიური საფუძვლები;

კლინიკური ეპიდემიოლოგიის საფუძვლები; ნევროლოგიურ დარღვევათა კლინიკური ეპიდემიოლოგია;

ძირითადი ნეიროტოქსიური აგენტები და მათი ზეგავლენა ნერვულ სისტემაზე. რადიაციის თერაპიული და ტოქსიური ზეგავლენა ნერვულ სისტემაზე. მისი სამკურნალო როლი და კავშირი ნევროლოგიური დაავადების განვითარებასთან.

- კომუნიკაციური შესაძლებლობების გამოვლენა. ეთიკის ნორმების დაცვით ეფექტური ურთიერთობა პაციენტთან, მათ ოჯახის წევრებთან (ან სხვა მეურვეებთან), სამედიცინო პერსონალთან;

პაციენტებისაგან, მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლებისაგან შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და სინთეზირება;

ყურადღებისა და გულმოწყალების გამოვლენა;

ეფექტურად მოსმენა;

პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან აქტუალური საკითხების

განხილვა;

აქტიური თანამშრომლობა კოლეგასთან (ან პერსონალთან), რომელიც აწარმოებს დაკეტილ გამოკვლევას, და მისგან სათანადო ინფორმაციის მიღება;

პაციენტების და მათი ოჯახის წევრების კონსულტირება დაავადების პრევენციის გზების, რისკ-ფაქტორების, გენეტიკური და გარე ფაქტორების თაობაზე, ამასთანავე სამკურნალო სტრატეგიის განხილვა სპეციფიური სამედიცინო და ქირურგიული ინტერვენციის ჩათვლით; გენეტიკური კონსულტაცია რისკ-ფაქტორების გამოვლენით.

- პაციენტის მეურვეობის პროცესში მულტიდისციპლინური პროფესიული გუნდის ჩართვა, ინტერდისციპლინური აქტივობის აღგორითმის ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება;

ეფექტური საკონსულტაციო საქმიანობა ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან;

პაციენტებთან და პროფესიული team-ის სხვა წევრებთან (მათ შორის სტუდენტები, ბინაზე მომვლელები, ჯანდაცვის მუშაკები) სადამრიგებლო საქმიანობის გაწევა. პაციენტის ეფექტური მეურვეობის ხელშეწყობის მიზნით სტუდენტების და პერსონალის ინსტრუქტირება მათი კლინიკური განათლებისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისად, ცოდნის ხალისით გაზიარება.

- როგორც მენეჯერმა ეფექტურად გამოიყენოს და დააბალანსოს რესურსები პაციენტის მეურვეობის სფეროზე, საგანმანათლებლო მოთხოვნებზე და გარე საქმიანობაზე. გონივრულად განკარგოს ჯანდაცვის რესურსები, ეფექტურად ითანამშრომლოს ჯანდაცვის ორგანოებთან. გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგია პაციენტების მეურვეობის, life-long learning და სხვა აქტივობების განსახორციელებლად;

გამოავლინოს პროფესიული ჩვევების მოქნილი ფლობა;

დროის მენეჯმენტის საკითხში იხელმძღვანელოს პროფესიული უნარ-ჩვევებით: პუნქტუალობა და დაგეგმარება (დროის ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით), დადგენილი წესით რეგულარული საქმიანობის წარმოება და მისი მკაცრად დაცვა, სიზუსტე და ოპერატიულობა კლინიკურ ჩვევებში, სამეცნიერო ლიტერატურის გასაცნობად დროის განსაზღვრა;

ამომწურავი და ზუსტი სამედიცინო ჩანაწერების წარმოება (პაციენტის ანამნეზი, ნევროლოგიური აღმოჩენები, დიფერენციალური და წინასწარი დიაგნოზები, მენეჯმენტის გეგმა, დაავადების განვითარების ასახვა) და პაციენტის გაწერისას ყოველმხრივ გამართული დასკვნის ჩამოყალიბება;

მედიკოსთა ჯგუფის მუშაობის ეფექტური კოორდინირება: უმცროსი კოლეგების და სტუდენტების ორგანიზება და ზედამხედველობა პაციენტის მეურვეობის ან კონსულტირების საკითხებში; აღიარება, რომ ოპტიმალური მკურნალობის განსახორციელებლად ჯგუფური მიდგომის პრონციპი აუცილებელია.

- სამედიცინო სფეროში პაციენტის ინტერესების დამცველის (health advocate) სტატუსით გამოავლინოს დაავადებული პირის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დეტერმინანტები, ეფექტურად ითანამშრომლოს პაციენტებისა და საზოგადოების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, გამოავლინოს და რეაგირება მოახდინოს იმ საკითხებზე, რომელიც მისი მხრიდან “ადვოკატობას” მოითხოვს;

მოიძიოს და შეისწავლოს საზოგადოებრივი რესურსები დაკავშირებული პაციენტის მხარდამჭერ ჯგუფებთან (კოსპიტალი ბინაზე, ოკუპაციური თერაპია და სხვ.) და აქტიურად ითანამშრომლოს მათთან;

პაციენტებს მიაწოდოს ინფორმაცია ნევროლოგიური დაავადების შესახებ;

პაციენტის კეთილდღეობიდან გამომდინარე დაარწმუნოს იგი პასუხისმგებლობის აღების მნიშვნელობაზე და გამოავლინოს მთავარი დეტერმინანტები, რომლებიც ხელს უწყობენ დაავადების გამოვლენას (მაგ. რისკ-ფაქტორების როლი ინსულტის განვითარებაში);

გაითავისოს ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ. ინსულტის, გაფანტული სკლეროზის და სხვ. ასოციაციები) როლი დაავადებათა პრევენციის, დეტექციის, მკურნალობის, ნევროლოგიური ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებში.

- როგორც Scholar-ს (“მოსწავლეს”) მოეთხოვება ხანგრძლივი ინდივიდუალური საგანმანათლებლო სტრატეგიის ჩამოყალიბება, მისი იმპლემენტაცია, განვითარება და მონიტორირება. სამედიცინო ინფორმაციის წყაროების კრიტიკული შეფასება. აქტიური ჩაბმა პაციენტების, სამედიცინო პერსონალის, სტუდენტების, და სხვა პროფესიონალების გასანმანათლებლო საქმიანობაში. ახალი სამედიცინო ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, მონაწილეობა კლინიკურ და სამეცნიერო კვლევებში.
- როგორც პროფესიონალს მას მოეთხოვება მაღალი ხარისხის და სრული მოცულობის მეურვეობის გაწევა, პაციენტებისა და გულმოწყალების გამოვლენა. მისი სტატუსის შესაბამისი პერსონალური და ინტერპერსონალური პროფესიული ქცევა, სამედიცინო პრაქტიკის წარმართვა ეთიკის ნორმების დაცვით, რაც ექიმისათვის ობლიგატულია. ამ ამოცანების განსახორციელებლად:

პერიოდულად აკონტროლოს პერსონალური პროფესიული საქმიანობის შესაბამისობა სტანდარტებთან;

წახალისოს პაციენტები დისკუსიაში ჩართვით დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის საკითხებთან დაკავშირებით;

გამომავლავნოს პაციენტებმა ახალგაზრდა კოლეგის, პირველადი და მეორეული ჯანდაცვის რგოლების ექიმების მიმართ და მისცეს განმარტება განსხვავებული აზრის თაობაზე;

გააჩნდეს სურვილი და უნარი აწარმოოს თავისი სამედიცინო პრაქტიკა უწყვეტი სამედიცინო განათლების (Continuing medical education) ჩარჩოებში და გამოიმუშაოს ჩვევა შესაბამისობაში მოიყვანოს კლინიკური უნარები და ცოდნა “მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის” გზით.

პროფესიული მსაღმბის სტრუქტურა

საგანმანათლებლო და ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და ინტელექტის მძლავრმა ინვაზიამ, ნევროლოგიის სუბსპეციალობების ავტონომურ დარგებად ჩამოყალიბებამ განაპირობეს პოსტდოქტორული განათლების პროდუქტის ექიმ-სპეციალისტის კომპეტენციის გაზრდა დროის მოთხოვნილების შესაბამისად. ბუნებრივია, რომ მხოლოდ სარეზიდენტო ეტაპი არ არის საკმარისი მაღალი კომპეტენციის მისაღწევად. ამიტომ, გამოიკვეთა კომპეტენციების გადანაწილების ტენდენცია უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საფუძვლებზე.

დიპლომის შემდგომი (სარეზიდენტო) განათლების კონცეფცია ჩამოყალიბდა ხანგრძლივი სასწავლო და მეცნიერული ძიების შედეგად. მისი პრიორიტეტებია ჯანმრთელობის ხელშეწყობა და პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კრიტერიუმების ნოზოგრაფიული შეფასება დაავადების გლობალური ტვირთის პარამეტრების განსაზღვრით, მიკროინვაზიური ტექნოლოგიების მობილიზება, ფუნქციური ნევროლოგიის პრინციპების დანერგვა დაავადება-მოდიფიცირების თერაპიულ არსენალში (Disease modifying), ცნს-ის რეაქციების მოდულირება ფიზიკური ზემოქმედების გამოყენებით (ფიზიკური თერაპია, ფოტონური თერაპია, ელექტრო და მაგნიტური თერაპია), ოკუპაციური და კოგნიტურ-ქცევითი თერაპიის ადაპტირება სარეაბილიტაციო მეურნალობის კომპლექსში, ანუ არაფარმაკოლოგიური მეურნალობის ხერხების პრიორიტეტული ჩართვა როგორც ორგანულ, ასევე ფუნქციურ დარღვევათა მეურნალობის არსენალში.

სარეზიდენტო განათლების პროცესი მოიცავს თეორიული ტრენინგის ფაზას (ბაზისური სამედიცინო მეცნიერებები, ძირითად ყველაზე ექსტენსიურ პროფესიული (Vocational) ტრენინგის ფაზას, წინასწარ განსაზღვრული საექსპერტო ფუნქციების/კომპეტენციების მქონე სპეციალისტის და სუბსპეციალისტის ტრენინგის ფაზას და სხვა ფორმალური ხერხებით პროგრამებს. სარეზიდენტო პროგრამა ეფუძნება კურიკულუმის ახლებურად გააზრებას. ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის სასწავლო პროგრამებიდან გამოიყო ნერვული სისტემისადმი მიძღვნილი თავები და გაერთიანდა ერთიან სასწავლო საბაზისო საგნად ფუნდამენტური ნეირომეცნიერების სახით. ნეირომეცნიერება ნერვულ სისტემას განიხილავს ინტეგრირებულად როგორც ნორმის, ისე პათოლოგიის დროს მისი სტრუქტურული, ნეიროფიზიოლოგიური, ნეიროქიმიური და ფუნქციური ერთიანობიდან გამომდინარე, რითაც ქმნის კლინიკური ნევროლოგიის ეფექტური დაუფლების მეარ საფუძველს.

რეზიდენტურის პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სწავლების პროცესის განხორციელებას კლინიკაში, პაციენტის საწოლთან. პროგრამის ჩატარებაზე პასუხისმგებელია პროგრამის

დირექტორი, რომელიც გამოყოფს დროს რეზიდენტებთან პედაგოგიური საქმიანობისათვის. ყოველი როტაციის ჩატარებაზე პასუხისმგებელია მოდულზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქციაა პროცესის პრაქტიკული წარმართვა. კლინიკის აკადემიური პერსონალის (Faculty) რეზიდენტებზე გააზრებული ზედამხედველობა ქმნის სწავლების შესანიშნავ ატმოსფეროს. პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობა რეზიდენტის პრაქტიკულ საქმიანობას: პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, მუშაობა პაციენტის საწოლთან, ლაბორატორული მედიცინის მობილიზება, სადიაგნოზო საშუალებების დაუფლება, მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დამყარებული ახალი სამკურნალო ტექნოლოგიების (ფარმაკოლოგიური და არაფარმაკოლოგიური) ათვისება, ინტერაქტიული დიალოგი ყოველდღიურ შემოვლებზე, კონფერენციებზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების ტრადიციული ფორმები: ლექციები, სემინარები, კოლოკიუმები. არჩევითი ფაკულტატიური საათები ეთმობა რეზიდენტის პირადი ინტერესების რეალიზებას მომავალი კარიერის შესაქმნელად. პროფესიული მზადების პროცესში მნიშვნელოვნად გაზრდილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების და ახალი სასწავლო მეთოდოლოგიების როლი (პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, სწავლება ვიდეო-მასალით, კონსულტაციების მოდელირება). პროგრამის რაფინირების და მუდმივი რევიზიის აუცილებლობიდან გამომდინარე სისტემატიურად ხდება რეზიდენტების აზრის გათვალისწინება. სწავლების ბოლო წელი დაეთმობა ნევროლოგიის სუბსპეციალობის არჩევით დაუფლებას. დარგის სრულყოფილი საექსპერტო ფუნქციების/კომპეტენციების მისაღწევად ახალგაზრდა ექიმი კლინიკურ წრეობას ვადის უფრო გამოცდილი კოლეგის მეთვალყურეობის ქვეშ (პროგრამის დირექტორი, მოდულზე პასუხისმგებელი პირი).

სარეზიდენტო პროგრამის ერთერთი ნოვაციაა უფროსი რეზიდენტის სტატუსის შემოღება. ეს უკანასკნელი დამამთავრებელი წლის რეზიდენტებთან ერთად განახორციელებს ახალბედა მაძიებლების ტუტორის მოვალეობებს (აუცილებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს და გამოხატავს მათ აზრს), დაკავებულია კლინიკური და სასწავლო კონფერენციების საორგანიზაციო საკითხებით.

სარეზიდენტო პროგრამის კურიკულუმის კომპონენტები:

- საგანმანათლებლო მიზანი და ამოცანები (ყოველწლიურად მიეწოდება რეზიდენტებსა და აკადემიურ პერსონალს); საგანმანათლებლო პროცესს საფუძვლად უდევს რეზიდენტების კლინიკური საქმიანობა ბაზისურ ნეირომეცნიერებაში ორგანიზებული ინსტრუქტირების გზით მკაცრი ზედამხედველობის პირობებში, მაქსიმალური პასუხისმგებლობა პოსპიტალური და ამბულატორული პაციენტების მიმართ;
- ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე წარმოდგენილი როტაციის კომპეტენციაზე დაფუძნებული მიზანი და ამოცანები (ყოველწლიურად მიეწოდება რეზიდენტებსა და აკადემიურ პერსონალს);
- დაგეგმილი დიდაქტიკური სესიები;

ბაზისური მეცნიერების კურიკულუმი მოიცავს კლინიკური ნევროლოგიის ფუნდამენტურ საფუძვლებს;

რეზიდენტებს მოეთხოვება დასწრება სემინარებსა და კონფერენციებზე, მონაწილეობა სამეცნიერო დისკუსიებში (“journal club”);

სემინარები და კონფერენციები მოიცავენ ნევროლოგიურ დაავადებათა სრულ სპექტრს;

რეზიდენტები პასუხისმგებლობით ეკიდებიან კონფერენციების დაგეგმვასა და ზედამხედველობას;

რეზიდენტები ამზადებენ და წარმოადგენენ შემთხვევების გარჩევებს: ინფორმაცია საინტერესო შემთხვევის შესახებ, ღრმა დისკუსია სამედიცინო ლიტერატურის მოძიებით და მისი ინტერპრეტაციით.

- რეზიდენტების პასუხისმგებლობა პაციენტის მეურვეობის საკითხებში და მათზე სუპერვაიზორობა პროგრამის განმავლობაში;
- ძირითადი კომპეტენციები (პაციენტზე ზრუნვა, სამედიცინო ცოდნა, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და მისი გაუმჯობესება, ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები,

პროფესიონალიზმი, სისტემაზე დაფუძნებული პრაქტიკა, აკადემიური საქმიანობა).

სარეზიდენტო პროგრამა შედგება (ზოგადი და სპეციფიკური ნაწილები), პროგრამის მოდულებად დაყოფა და მოდულების განხორციელების ობიექტები

დასახული მიზნების განსახორციელებლად სარეზიდენტო განათლების პროცესი არის რეზიდენტზე ორიენტირებული, ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტულ სწავლების პრინციპებს, ქმნის საკუთარ თავზე მუშაობის და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში გამოცდილების შექმნის ოპტიმალურ პირობებს.

სარეზიდენტო პროგრამის თავისებურებებია:

- როტაციები ნეირორადიოლოგიაში, ნეიროფიზიოლოგიაში, პათოლოგოლოგიურ დიაგნოსტიკაში, პედიატრიულ ნევროლოგიაში, ფსიქიატრიაში, ოკუპაციურ მედიცინა/რეაბილიტაციაში, ნეიროქირურგიაში;
- მყარი დიდაქტიკური კურიკულუმი ყოველკვირეული კონფერენციებითა და ფორმალური ლექციებით;
- ინტენსიური ამბულატორული გამოცდილება;
- ელექტიური როტაციები ნევროლოგიის სუბსპეციალობებში;
- სამედიცინო ჩანაწერების ელექტრონული სისტემა;

პროფესიული მზადების I წელი

სამ წლიანი სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში პირველი წელი გათვალისწინებულია რეზიდენტის კლინიკურ ტრენინგებზე შინაგანი მედიცინის განხორციელებით. სწავლების პირველი წელი მოიცავს 6 თვიან წრთობას შინაგან მედიცინაში პაციენტის სავალდებულო მეურვეობით, ორ-ორთვიან როტაციებს პედიატრიაში, ურგუნეტულ მდგომარეობათა მენეჯმენტში, ნევროლოგიაში.

მიზანი:
სწავლების პირველი წელი მოიცავს თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების ფაზებს. გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ პრედიკტორული განათლების პერიოდში ზოგადთერაპიული პათოლოგია შედარებით საფუძვლიანად განიხილება, ამ ეტაპზე პროფესიული მზადების მთავარი მიზანია ძირითადი სომატური პათოლოგიების თანამედროვე დიაგნოსტიკური ალგორითმის გაცნობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ნოზოლოგიების განხილვას, სადაც ხშირია ნერვული სისტემის დაზიანება. რეზიდენტები ეუფლებიან ნევროლოგიური სიმპტომატიკით პაციენტების შეფასებას (“ინტერვიუ”, ნეიროსტატუსი), გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაციას და შესაბამისი დიაგნოსტიკური კვლევების დანიშნვას (ეეგ, ენმგ, გპ, ლუმბალური პუნქცია, თავისა და ხერხემლის CT და MRI).

წრთობის პროცესში აქცენტი გადატანილია კლინიკურ საქმიანობაზე - ანამნეზის შეფასებისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებაზე, ალგორითმული ტაქტიკის ადლოს გამომუშავებაზე და პოლისტური მიდგომის დანერგვაზე. ახალბედა სპეციალისტიმა უნდა განავითაროს ექიმ-ჰოსპიტალისტის ჩვევები, აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

პროფესიული მზადების II წელი

სარეზიდენტო პროგრამის მეორე წელი ეთმობა მოზრდილთა კლინიკურ ნევროლოგიას; ახალგაზრდა ექიმი კლინიკურ წრთობას გადის უფრო გამოცდილი კოლეგის მეთვალყურეობის ქვეშ და იძენს ჰოსპიტალური საქმიანობის გამოცდილებას.

მიზანი:
ანამნეზის მოპოვებისა და ანალიზის უნარების დახვეწა, ნევროლოგიური გამოკვლევა. წერითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება. ზოგადი ნევროლოგიური პრობლემების შეფასება და მკურნალობა: გადაუდებელი მდგომარეობები (კომა, ცნობიერებისა და მენტალური სტატუსის ცვლილებები, ინსულტი, გულყრა) და ამბულატორული პრაქტიკის გავრცელებული პრობლემები (თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, წელისა და კისრის ტკივილი, პერიფერიული ნეიროპათია). ეპილეფსიის, გაფანტული სკლეროზის, პარკინსონის დაავადების და სხვა მოძრობითი დარღვევების, ნერვ-კუნთოვანი დაავადებების, დემენციის, ცნს-ის ინფექციების, ნერვული სისტემის სიმსივნეების დიაგნოზირება, შეფასება და მკურნალობა. ნერვული სისტემის განვითარების ანომალიების შეფასება და მკურნალობა. რეზიდენტები შეისწავლიან ოკუპაციური მედიცინის და რეაბილიტაციის ძირითად პრინციპებს; მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდება ინსულტით, ზურვის ტვინის დაზიანებით, თავის ტრავმული დაზიანებით, წელის და კისრის ტკივილით პაციენტების შეფასება და სამკურნალო არსენალში არაფარმაკოლოგიური მეთოდების

ჩართვა. კლინიკური ნეიროფიზიოლოგიის საფუძვლების დაუფლება; ეეგ, ნერვის გამტარებლობის გამოკვლევის დამოუკიდებლად ჩატარება და ელექტროფიზიოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების (გპ, ენმგ-ს ჩათვლით) მონაცემთა ინტერპრეტაცია.

სწავლების პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი ეთდება რეზიდენტების ალგორითმული კლინიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მათ შზადყოფნაზე ჩაერთონ დისკუსიაში მრავალფეროვანი დიაგნოზური და თერაპიული ტაქტიკური პრობლემების ორგანიზაცია.

პროფესიული მზადების III ფაზა

სარეზიდენტო პროგრამის მესამე წლის პირველი 2 თვე ეთმობა მოზრდილთა კლინიკური ნევროლოგიის პოსტიტალურ მეურვეობას და 3 თვე - მოზრდილთა კლინიკური ნევროლოგიის ამბულატორულ სერვისს; რეზიდენტები უშუალოდ მონაწილეობენ პაციენტების შეფასებაში გავრცელებული და არატიპური ნევროლოგიური პრობლემებით, გარჩევებში, ყოველდღიურ სასწავლო რაუნდებში, კონფერენციებში. ამავე წელს გათვალისწინებულია 1 თვიანი წრთობა პედიატრიულ ნევროლოგიაში, 1 თვე კლინიკურ ფსიქიატრიაში, 1 თვე ნეიროქირურგიაში, 2 კვირა სტროკოლოგიაში და 2 კვირა ნეირორადიოლოგიაში. 1 თვე დაეთმობა ნევროლოგიური დარღვევებით პაციენტების მეურვეობას ინტენსიური და გადაუდებელი თერაპიის განყოფილებებში (მათ შორის ნეიროქირურგიული პათოლოგიით). ამავე წელს გათვალისწინებულია 1 თვიანი ელექტიური საგნის მოდულები.

მიზანი:

მესამე წლის რეზიდენტი უნდა იყოს მზად ფართე სპექტრის ნევროლოგიური დარღვევებით პაციენტების (პოსტიტალური, ამბულატორული) დამოუკიდებელი შეფასებისა და მენეჯმენტისათვის. ჩვილ და ბავშვთა ასაკის პაციენტებში ანამნეზის მოპოვებისა და ნევროლოგიური გამოკვლევის უნარ-ჩვევების დახვეწა, ნევროლოგიური პრობლემების დიაგნოზირება და მკურნალობა. ამასთანავე დამწეები რეზიდენტების ზედამხედველობა პოსტიტალურ ნევროლოგიურ სერვისში და სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვა. კომპეტენციის გადრმავება ნევროლოგიის სუბსპეციალობებში, როგორცაა კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფია, კლინიკური ელექტრონეირომიოგრაფია, კლინიკური ეპილეფტოლოგია, ნეირომიოლოგია, მოძრაობითი აშლილობები, ნეიროლოგიკოლოგია, ნეიროინფექციური დაავადებები, კლინიკური და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა, ნეიროკრიტიკული მდგომარეობების მენეჯმენტი (მათ შორის ნეიროქირურგიული პაციენტების). ფსიქიატრიული და ნეიროფსიქიატრიული როტაციების დროს რეზიდენტები სწავლობენ პაციენტისა და ექიმის ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს, დაავადების პათოგენეზში პერსონული, კულტურული და სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას, ფსიქოპათოლოგიის პრინციპებს, ფსიქიატრიულ დიაგნოზსა და თერაპიას, მედიკამენტური თერაპიის ჩვენებას და გართულებებს. უშუალოდ იღებენ მონაწილეობას პაციენტების შეფასებაში.

ნევროლოგიური ანამნეზის, გამოკვლევის, შესაბამისი თერაპიის წარმოების უნარ-ჩვევების დახვეწისა და ნერვულ დაავადებათა ძირითად კატეგორიებზე დრმა ცოდნის შექმნის შედეგად, რეზიდენტი მოქმედებს როგორც დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი. განსაკუთრებული აქცენტი ეთდება ეპილეფსიაზე, კომასა და ცნობიერების დარღვევებზე, მოძრაობით დარღვევებზე, ნერვულ-კუნთოვან პათოლოგიებზე, მადემიელინიზირებელ დაავადებებზე, ნერვული სისტემის ინფექციებზე, სიმსივნეებზე, ქალა-ტვინის ტრავმასა და დემენციაზე. ამასთანავე რეზიდენტი იძენს გამოცდილებას ნევროლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევის დანიშნისა და ინტერპრეტაციის სფეროში, მათ შორის თავისა და ხერხემლის CT და MRI, ეეგ, ენმგ, გპ, ნეიროვასკულური ტესტირება. მიმდინარეობს წერითი და ორალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების დახვეწა და გაუმჯობესება. რეზიდენტი გადის ტრენინგებს სტროკოლოგიის სუბსპეციალობით - მწვავე იშემიური ინსულტის, TIA, ინტრაცერებრული და სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის ნიშნებისა და სიმპტომების გამოვლენა, რისკ-ფაქტორების გამოვლენა, პაციენტების შეფასება ინსულტის სკალებით (მაგ. National Institute of Health Stroke Scale), მკურნალობა თანამედროვე გაიდლაინის რეკომენდაციების მიხედვით (წნევის მენეჯმენტი, ანტიკოაგულაცია, ანტიაგრეგაცია, ქირურგია), დაავადების პროგნოზი. ინტენსიური და გადაუდებელი ნევროლოგიის როტაციის პერიოდში რეზიდენტი იღრმავებს ცოდნას და დებულებას გამოცდილებას მომატებული ინტრაკრანიული წნევის მენეჯმენტის და სამკურნალო სტრატეგიის საკითხებში. ამასთანავე მას ეკისრება პირველი წლის რეზიდენტების სუპევიზორობა, ნევროლოგიური დეპარტამენტის სასწავლო კონფერენციების ორგანიზება და მათში აქტიური მონაწილეობა.

მოღულების ჩამონათვალი:

პროგრამის ზოგადი ნაწილი		
პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	შინაგანი მედიცინა	6 თვე
1.2.	ნევროლოგია	2 თვე
1.3.	პედიატრია	2 თვე
1.4.	ურგენტულ მდგომარეობათა მენეჯმენტი	1 თვე
პროგრამის სპეციფიური ნაწილი		
პროფესიული მზადების II წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	მოზრდილთა კლინიკური ნევროლოგია	10 თვე
2.2.	კლინიკური ნეიროფიზიოლოგია	1 თვე
პროფესიული მზადების III წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	მოზრდილთა კლინიკური ნევროლოგია; ჰოსპიტალური და ამბულატორული სერვისი	5 თვე
3.2.	ინტენსიური და გადაუდებელი ნევროლოგია	1 თვე
3.3.	კლინიკური პედიატრიული ნევროლოგია	1 თვე
3.4.	ფსიქიატრია.	1 თვე
3.5.	ნეიროქირურგია	1 თვე
3.6.	სტროუკოლოგია	2 კვირა
3.7.	ნეირორადიოლოგია	2 კვირა
ელექტიური მოდულები: - 1თვე		
	კლინიკური ეპილეფტოლოგია	1 თვე
	ნეირომიოლოგია (ნერვ-კუნთოვანი დაავადებები)	1 თვე
	ნეირონკოლოგია	2 კვირა
	ნეიროოფთალმოლოგია	1 კვირა
	თავის ტკივილი	2 კვირა
	ძილის მედიცინა	2 კვირა
	გაფანტული სკლეროზი და მადემიელინოზები დაავადებები	2 კვირა
	კლინიკური ნეიროფიზიოლოგია	1 თვე
	ნეირორადიოლოგია	2 კვირა
	მოძრაობითი დარღვევები	2 კვირა
	ნეიროტოლოგია	1 კვირა
	სტროუკოლოგია	2 კვირა
	ნეიროფსიქიატრია	2 კვირა

აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საბანამანათლებლო რესურსები

სარეზიდენტო განათლების პროცესი ორიენტირებულია რეზიდენტზე და უზრუნველყოფს საკვანძო კომპეტენციების დაუფლებას: პაციენტის მეურვეობა, სამედიცინო ცოდნა, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და მისი გაუმჯობესება, ინტეგრირებული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, პროფესიონალიზმი, სისტემაზე დაფუძნებული პრაქტიკა, აკადემიური საქმიანობა.

პროგრამის ხელმძღვანელი მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში განახორციელებს რეზიდენტების პირდაპირ და ადეკვატურ მეურვეობას, უზრუნველყოფს მათთან სწრაფ და ეფექტურ კომუნიკაციას მოდულზე პასუხისმგებელი პირის და აკადემიური პერსონალის (Faculty) მეშვეობით, აერცვლებს მეურვეობის დეტალურ და განახლებულ სტრატეგიას წერილობითი ფორმით გუნდის ყველა წევრზე. აკადემიური პერსონალის მუშაობა რეზიდენტების მეურვეობის გარდა მოიცავს კლინიკურ და ინტენსიურ საკონსულტაციო საქმიანობასაც.

აკადემიური პერსონალი თავისი რიცხოვრივი ოდენობით და განსხვავებული ინტერესით ნევროლოგიის სხვადასხვა სფეროს მიმართ სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რათა ჯეროვნად განახორციელოს რეზიდენტების ინსტრუქტირება-მეურვეობა.

პროგრამის ხელმძღვანელი და არანაკლებ ექვსი მოქმედი ნევროლოგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ და საკმარის დროს უთმობენ რეზიდენტების სავანამანათლებლო პროცესს, ასრულებენ სუპერვიზორისა და მასწავლებლის ფუნქციებს. სასწავლო პროცესში აგრეთვე ჩართულია სპეციალისტები მუშაობის გამოცდილებით ნევროლოგიის სუბსპეციალობებში, მაგ. სტროუკოლოგია, ეპილეფსია, ნეირომიოლოგია, ნეიროოფთალმოლოგია, კლინიკური

ნეიროფიზიოლოგია და სხვ.

აკადემიური პერსონალის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს დოკუმენტირებული კვალიფიკაცია (პედაგოგიური სტაჟი), სპეციალობის მოქმედი სერტიფიკატი, კლინიკური საქმიანობის და სწავლების კომპეტენცია, აკადემიური გამოცდილება - რეცენზიები, პუბლიკაციები, მონოგრაფიები (ავტორობა, თანაავტორობა), მონაწილეობა ლოკალურ და საერთაშორისო კონფერენციებში.

აკადემიური პერსონალი საგანმანათლებლო საქმიანობას განახორციელებს კლინიკური შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზებით და უზრუნველყოფს რეზიდენტების პერმანენტულ ინსტრუქტირებას სემინარების, კონფერენციების და სასწავლო რაუნდების მეშვეობით. ამავდროულად, კლინიკურ დისკუსიებში და კონფერენციებში რეგულარული მონაწილეობით Faculty უზრუნველყოფს ადეკვატურ პირობებს რეზიდენტების აკადემიური საქმიანობისათვის (ახალი ლიტერატურული მონაცემების მოიძიება და გაგრძელება, ინფორმაცია რეგიონული, ეროვნული, საერთაშორისო კონფერენციების მასალების თაობაზე).

რეზიდენტების სასწავლო პროცესის და პრაქტიკული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის სარეზიდენტო პროგრამა უზრუნველყოფილია ადეკვატური საგანმანათლებლო რესურსებით, პაციენტების პოპულაციით ნევროლოგიურ დაავადებათა სრული სპექტრით, პოსპიტალური და ამბულატორული სერვისებით, სასწავლო აუდიტორიებით, საკონფერენციო სივრცით, ლაბორატორიებით, აკადემიური პერსონალისა და რეზიდენტების საოფისე ფართით, ადეკვატური დიაგნოზური რესურსებით და თერაპიული სერვისით.

- **ხარისხის უზრუნველყოფის მიზანშეწონილობა**

რეზიდენტების შეფასების სისტემა

აკადემიური პერსონალი თითოეული როტაციის პერიოდში აწარმოებს რეზიდენტების საქმიანობის ობიექტურ შეფასებას ბაზისურ კომპეტენციებში - პაციენტის მეურვეობა, სამედიცინო ცოდნა, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და მისი გაუმჯობესება, ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები, პროფესიონალიზმი და სისტემაზე დამყარებული პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტერვიუს, ნევროლოგიურ გასინჯვა-გამოკვლევას, კონსულტაციის უნარ-ჩვევებს, რეზიდენტის პუმანურობას, პროფესიონალიზმს, მის შესაძლებლობას წარმოადგინოს და გააანალიზოს კლინიკური შემთხვევები. ამავდროულად შეფასების პროცესი ითვალისწინებს სადამრიგებლო სტრატეგიას და სთავაზობს რეზიდენტს კონსტრუქციულ უკუკავშირს. შეფასების პროცესში აკადემიური პერსონალის გარდა მონაწილეობენ სხვა რეზიდენტები, პაციენტები და მათი ოჯახის წევრები, სამედიცინო პერსონალი. ყოველი როტაციის დასრულებისთანავე რეზიდენტს აქვს უფლება გაეცნოს შეფასების დოკუმენტს, და მის საფუძველზე მოამზადოს პერსონალური სასწავლო გეგმა, რომელსაც რეგულარულად მიმოიხილავს პროგრამის დირექტორთან ერთად.

წელიწადში ორჯერ რეზიდენტს წარედგინება მისი საქმიანობის დოკუმენტირებული შეფასება. როგორც წესი ეს დოკუმენტი ასახავს რეზიდენტის წინსვლას და მისი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხარისხს.

საგანმანათლებლო ციკლის დასრულების შემდეგ პროგრამ-ხელმძღვანელი წარმოადგენს თითოეული რეზიდენტის საბოლოო ჯამურ შეფასებას საკვანძო კომპეტენციების ანალიზით და დასკვნით ამ უკანასკნელის მზადყოფნის თაობაზე დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობისათვის. საკვანძო კომპეტენციების შესაფასებლად გამოიყენება რამოდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი შეფასების ვალიდური სისტემა. ეს კომპონენტებია:

- **ტრენინგული გამოცდა:**

თვით-შეფასების ინსტრუმენტი, მოწოდებული ნევროლოგიის და ნეირომეცნიერების სფეროში ცოდნის შესაფასებლად, რომელიც ასახავს რეზიდენტის პოტენციურ წინსვლას, გარკვეულწილად რეკომენდაციებს სთავაზობს მას და ინტენსიური განხილვის საგანი ხდება.

კითხვარი მოიცავს ნევროლოგიის და ნეირომეცნიერების შემდეგ დარგებს: ანატომია, ფიზიოლოგია, ქცევითი მეცნიერება/ფსიქიატრია, მოზრდილთა და ბავშვთა ნევროლოგია, ნეიროფიზიოლოგია, პათოლოგიური ფიზიოლოგია, ფარმაკოლოგია/ბიოქიმია, ნეირომედიცინის თანამედროვე პრობლემები.

ტრენინგული გამოცდა ტარდება პროფესიული მზადების მე-3 წელს. ყოველი მონაწილე იღებს ინდივიდუალურ ანგარიშს მისი რეიტინგის შესახებ. ყველა რეზიდენტის რეიტინგური მაჩვენებლები თავს იყრის პროგრამ-ხელმძღვანელთან.

- **კლინიკური უნარების შეფასება;**

სპეციალისტის სერტიფიკატის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა კლინიკური უნარ-ჩვევის კომპეტენციის დემონსტრირება შემდეგ სფეროში: სამედიცინო ინტერვიუ,

ნევროლოგიური გასინჯვა-გამოკვლევა, პუმანიზმი, პროფესიონალიზმი და მსჯელობის უნარი. ამ კომპეტენციას რეზიდენტი ეუფლება საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდში. კლინიკური უნარ-ჩვევების შესაფასებლად მოწოდებულია პაციენტის საათი. რეზიდენტი ამჟღავნებს პაციენტის შეფასების კომპეტენციას აკადემიური პერსონალის 2 წევრის ზედამხედველობით, მსჯელობის უნარს დიფერენციალური დიაგნოზის, გამოკვლევისა და მეურნალობის თაობაზე. პროგრამით გათვალისწინებულია 5 პაციენტის (მათ შორის 1 კრიტიკული, 1 ნერვ-კუნთოვანი, 1 ამბულატორული, 1 ნეიროდეგენერაციული, 1 ბავშვთა ასაკის) შეფასება. პაციენტის საათი გათვალისწინებული პროგრამის ყველა ეტაპზე. ეფექტური უკუკავშირების მისაღწევად (feedback) აკადემიური პერსონალი რეზიდენტის თანდასწრებით განიხილავს მისი შეფასების შედეგს. სავალდებულოა ყველა პაციენტის საათის წარმატებით გადალახვა.

პაციენტის საათი					
რეზიდენტი	სწავლების წელი				
მოდულზე პასუხისმგებელი პირი.....					
	დაბალი		მაღალი		
ინტერვიუ	1	2	3	4	5
ნევროლოგიური გამოკვლევა	1	2	3	4	5
გამოკვლევის გეგმა	1	2	3	4	5
დიფ. დიაგნოზი და დიაგნოზი	1	2	3	4	5
მეურნალობის გეგმა	1	2	3	4	5
ჯამური შეფასება					
კომენტარები					
ხელმძღვანელის ხელმოწერა					
რეზიდენტის ხელმოწერა					

- დაავადების ისტორიის მიმოხილვა; პროფესიული უნარ-ჩვევების (აღვორითმული კლინიკური მსჯელობა, პოლისტური აზროვნება და სხვ.) შესაფასებლად წელიწადში ორჯერ რეზიდენტი წარადგენს მის მიერ გატარებული რამდენიმე პაციენტის დაავადების ისტორიას (ამბულატორული და პოსპიტალური). განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული წამყვან ჩივილზე და

კონსულტაციის მიზეზზე, არსებული დაავადების ისტორიაზე და წარსულში გადატანილ დაავადებებზე, ნევროლოგიურ გამოკვლევაზე, პაციენტის შეფასებასა და დიფ.დიაგნოზზე, დიაგნოსტიკურ და სამკურნალო სტრატეგიაზე.

დაავადების ისტორიის შეფასება

რეზიდენტი სწავლების წელი

მოდულზე პასუხისმგებელი პირი..... როტაცია

დამაკმაყოფილებელი არადამაკმაყოფილებელი

ძირითადი ჩივილები

ამჟამინდელი ანამნეზი

წარსული ანამნეზი

ნევროლოგიური გამოკვლევა

შეფასება და დიფ.დიაგნოზი

დიაგნოზირების და მკურნალობის გეგმა

კომენტარები

ხელმძღვანელის ხელმოწერა

რეზიდენტის ხელმოწერა

რეზიდენტის დღიური;

ყოველდღიურად რეზიდენტი აწარმოებს პაციენტების რეგისტრაციას მის პერსონალურ დღიურში. აღნიშნული ჩანაწერებით განისაზღვრება კლინიკური გამოცდილების დიაპაზონი, მისი თავსებადობა პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებთან. დღიურში შეტანილი ინფორმაცია გამოიყენება რეზიდენტის საბოლოო ჯამური შეფასებისას, თუმცა პაციენტების რაოდენობა ყოველთვის არ ასახავს კომპეტენციას.

როტაციული შეფასება;

რეტროსპექტულად გარკვეული დროის მონაკვეთში (მაგ, კლინიკური როტაციის დასრულებისას) საერთო შთაბეჭდილების საფუძველზე ზოგადად ფასდება პაციენტის მეურვეობის უნარი, სამედიცინო ცოდნა, ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები. ინფორმაციის წყაროა მოდულზე პასუხისმგებელი პირის უშუალო დაკვირვება და რეზიდენტთან ურთიერთობა, აკადემიური პერსონალი, სხვა რეზიდენტები, პაციენტები და მათი ოჯახის წევრები, წერითი მასალები, რაუნდები, მოხსენებები კონფერენციებზე.

პროგრამ-ხელმძღვანელი ნახევარწლიანი აუდიტის დროს მიმოიხილავს ყოველი რეზიდენტის როტაციულ შეფასებას.

რეზიდენტის სახელი								
როტაცია								
სწავლების წელი				ხელმძღვანელი				
რეზიდენტის სახელი								
როტაცია								
სწავლების წელი				ხელმძღვანელი				
1.პაციენტის მიზრდობა		არაღამ.		ღამ.				
<p>არასრულყოფილი ინტერვიუ, ნევრ. გასინჯვა და სხვა მონაცემები; აუცილებელი პროცედურების არასრული აღსრულება; კლინიკურ მონაცემებს ვერ აანალიზებს და დასკვნის გამოტანისას პაციენტს არ ანიჭებს უპირატესობას.</p>		1	2	3	4	5	6	7
		8	9					<p>ყოველმხრივ სრულყოფილი ინტერვიუ, ნევრ. გასინჯვა, სხვა მონაცემები და პროცედურული უნარები. ყოველთვის იღებს დიაგნოზურ და თერაპიულ გადაწყვეტილებას მტკიცებებზე, სრულყოფილ მსჯელობაზე დაყრდნობით და პაციენტის პრიორიტეტის გათვალისწინებით.</p>
2.სამედიცინო ცოდნა								
<p>კლინიკური და საბაზისო მეცნიერებების შეზღუდული ცოდნა; სწავლისადმი მინიმალური ინტერესი; არ იცის დაავადების განვითარების მექანიზმები.</p>		1	2	3	4	5	6	7
		8	9					<p>კლინიკური და საბაზისო მეცნიერებების განსაკუთრებული ცოდნა; გააჩნია ცოდნის განვითარების დიდი რესურსი; ყოველმხრივ გათვითცნობიერებულია დაავადების განვითარების მექანიზმებში.</p>
3.პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და მისი სრულყოფა.								
<p>არ გააჩნია თვითშეფასების უნარი; ვერ ჩაუწვდება აზრს, არ გააჩნია ინიციატივა, იგნორირებს უკურავაგირებას; არ იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიას რომ გააუმჯობესოს პაციენტის მეურვეობა ან აამაღლოს თავისი დონე.</p>		1	2	3	4	5	6	7
		8	9					<p>მუდმივად აფასებს თავის თავს, უკურავაგირებას იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, ინფორმაციის მოსაპოვებლად პაციენტის მეურვეობისა და თვით-განათლების საკითხებში. ეფექტურად იყენებს ტექნოლოგიებს</p>
4.ინტერპერსონალური/კომ უნიკაციური უნარები								
<p>ვერ ამყარებს მინიმალურად ეფექტურ ურთიერთობას პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან; ვერ ავლენს ურთიერთობის დამყარების სურვილს მოსმენის, ვერბალური ან არავერბალური უნარების გზით; ვერ უზრუნველყოფს პაციენტების და მათ ოჯახის წევრების, კოლეგების კონსულტირებას, განათლებას.</p>		1	2	3	4	5	6	7
		8	9					<p>ამყარებს ძალზე ეფექტურ თერაპიულ ურთიერთობას პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან; ამჟღავნებს ურთიერთობის აგების განსაკუთრებულ უნარს მოსმენის გზით, ვერბალური და არავერბალური ხერხის გამოყენებით; საუკეთესოა პაციენტების და მათ ოჯახის წევრების, კოლეგების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საქმიანობაში.</p>
5.პროფესიონალიზმი								
<p>არ გააჩნია პატივისცემა,</p>		1	2	3	4	5	6	7
		8	9					<p>ყოველთვის ამჟღავნებს გულწრფელობას, პატივისცემას, მოწყალებას, პატიოსნებას, პასუხისმგებლობას. თვით შეფასება მისთვის არ არის უცხო, სიამოვნებით</p>

<p>მოწვალება, გულწრფელობა, პატიოსნება; იგნორირებს თვითშეფასებას, შეცდომებს; არ ითვალისწინებს პაციენტების და მათი ოჯახის წევრების, კოლეგების მოთხოვნებს, არ გააჩნია პასუხისმგებლობა</p> <p>6.სისტემაზე დაფუძნებული სწავლება</p> <p>არ შეუძლია გარე რესურსების მობილიზება. აქტიურად ეწინააღმდეგება მეურვეობის სისტემის გაუმჯობესების მცდელობებს; არ იყენებს სისტემურ მიდგომებს რომ შეამციროს შეცდომები და გააუმჯობესოს პაციენტის მეურვეობის ხარისხი.</p> <p>რეზიდენტის კომპეტენციების ჯამური რატაციური შეფასება.</p>	<p>1 2 3 4 5 6 7 8 9</p> <p>1 2 3 4 5 6 7 8 9</p>	<p>იღებს შენიშვნებს და აღიარებს შეცდომებს. ყოველთვის ითვალისწინებს პაციენტების და მათი ოჯახის წევრების, კოლეგების მოთხოვნებს.</p> <p>ეფექტურად იღებს/გამოიყენებს გარე რესურსებს; ეფექტურად იყენებს სისტემურ მიდგომებს შეცდომების შესამცირებლად, პაციენტის მეურვეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ენთუზიაზმით ეკიდება სისტემური გაუმჯობესების მხედლობას.</p>
<p>ხელმძღვანელის ხელმოწერა</p> <p>რეზიდენტის ხელმოწერა</p>		

რეზიდენტის პორტფოლიო

პორტფოლიო რეზიდენტის მიერ მომზადებულ სასწავლო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ მასალებს მოიცავს. ჩვეულებრივ ეს წერითი დოკუმენტებია ვიდეო, აუდიო ჩანაწერებთან, ფოტოსურათებთან და ინფორმაციის სხვა ფორმებთან ერთად. პორტფოლიოს კომპონენტებია: Curriculum vitae, მომზადებული პრეზენტაციები, კვლევითი პროექტის შედეგები, კლინიკური შემთხვევების განხილვები, საერთაშორისო და ეროვნულ კონფერენციებზე წარმოდგენილი აბსტრაქტები, გამოქვეყნებული პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებზე დასწრების წლიური ანგარიში. ნახევარწლიანი შემაჯამებელი შეხვედრებისას პროგრამ-ხელმძღვანელი რეზიდენტთან ერთად მიმოიხილავს მის პორტფოლიოს.

360° შეფასება

რეზიდენტის შეფასების ერთერთი ფორმა – კითხვარები, შეესაბამება რეზიდენტის გარემოცვიდან რამოდენიმე პირის მიერ, მაგ. პაციენტები და მათი ოჯახის წევრები, სხვა რეზიდენტები, სამედიცინო პერსონალი. კითხვარში აისახება ინფორმაცია რეზიდენტის პროფესიული საქმიანობის, კონკრეტულად ძირეული კომპეტენციების ფლობის შესახებ.

პაციენტის კითხვარი	
<p>თქვენ ხართ პაციენტი. ფიქრობთ რომ გაქვთ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა. რას ელოდებით თქვენი მკურნალი ექიმისაგან?</p>	
<p>მკურნალმა ექიმმა პირველი შეხვედრისას გამოვიწოდეთ ხელი, გაგიღიმათ, დაგიჯდათ და ყურადღებით მოისმინა თქვენი ჩივილები.</p>	<p>პაციენტის მეურვეობა გულმოწყალებით და თანაგრძნობით</p> <p>1 2 3 4 5</p>

მკურნალმა ექიმმა თქვეთან საუბრისას დაადგინა რა გაწუხებთ. მან იცის თუ რა გამოკვლევები არის საჭირო დიაგნოზის დასადგენად.	სამედიცინო ცოდნა 1 2 3 4 5
მკურნალი ექიმი ყურადღებით ვისმენთ თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს. მას შეუძლია განიხილოს თქვენი მდგომარეობა მაქსიმალური გულწრფელობით და ეფექტურად თქვენთან, თქვენს ახლობლებთან და იმ პირებთან ვისაც მომავალში ევალება თქვენი მეურვეობა.	ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები 1 2 3 4 5
მკურნალი ექიმი საკმაოდ კვალიფიციურია იმისათვის, რომ გაგიწიოთ დახმარება. ის ამ მოვალეობას განახორციელებს კონფიდენციალურად, ეთიკური და მორალური სტანდარტის ჩარჩოში.	პროფესიონალიზმი 1 2 3 4 5
მკურნალი ექიმი ფლობს უახლეს ინფორმაციას თავის დარგში და მოელი ცხოვრების მანძილზე სწავლის გზით იმაღლებს კვალიფიკაციას.	პრაქტიკაზე-დაფუძნებული სწავლება და მისი გაუმჯობესება 1 2 3 4 5
<p>პაციენტი</p> <p>როტაცია</p>	

რეზიდენტის შეფასების მეოდები

კომპეტენცია	ტრენინგული გამოცდა	კლინიკური უნარები	დაავადების ისტორია	რეზიდენტის დღიური	როტაციული შეფასება	360° შეფასება
პაციენტის მეურვეობა		X	X	X	X	X
სამედიცინო ცოდნა	X	X	X		X	X
პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება					X	X
ინტერპერსონალური/კომუნიკაციური უნარები		X	X		X	X
პროფესიონალიზმი		X			X	X
სისტემაზე დაფუძნებული პრაქტიკა		X			X	

აკაკლემიური პერსონალის შეფასების სისტემა

ყოველწლიურად ფასდება რეზიდენტების საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობა. შემაჯამებელი დოკუმენტი მოიცავს აკადემიური პერსონალის კლინიკური სწავლების პოტენციალს, მის თავსებადობას საგანმანათლებლო პროგრამასთან, კლინიკური კომპეტენციის დონეს, პროფესიონალიზმს, აკადემიურ საქმიანობას. დოკუმენტში ასახულია რეზიდენტების ყოველწლიური კონფიდენციალური წერილობითი დასკვნები პროგრამის განხორციელების ხარისხზე, აკადემიური პერსონალის ყოველი წევრის პედაგოგიური საქმიანობისა და კლინიკური კომპეტენციის თაობაზე.

აკადემიური პერსონალის შეფასების ფორმა					
	დაბალი			მაღალი	
	1	2	3	4	5
ინტერესი სასწავლო პროცესის მიმართ				
სპეციალობის მიღმა სწავლება				
ექიმის შესაბამისი თვისებების გამოვლენა				
სწავლება პაციენტის საწოლთან: ინტერვიუ, გასინჯვა				
ბაზისური მეცნიერების კორელაცია				
დიაგნოზური მსჯელობის სწავლება				
სამედიცინო ფაქტებით სწავლება				
შემოვლენები (შესაბამისი ჩართულობა)				
ახალი ცოდნის შექმნის ხელშეწყობა				
ჩანაწერების მიმოხილვა და კომენტარები				
ჯამური რეიტინგი				

პროგრამის შეფასება და დახვეწა

პროგრამის დებულებით გათვალისწინებულია კურიკულუმის ყოველწლიური შეფასება. პროგრამა განხორციელებს რეზიდენტის საქმიანობის, აკადემიური პერსონალის განვითარების, სწავლების ხარისხის, სასწავლო პროცესის დასრულების, სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით გადალახვის მონიტორირებას და ყველა შემადგენელი დებულების აღსრულებას. რეზიდენტებს და აკადემიურ პერსონალს ყოველწლიურად აქვთ შესაძლებლობა კონფიდენციალურად შეაფასონ პროგრამა და წარადგინონ ანგარიში წერილობითი ფორმით. მათი და პროგრამის სხვა შემფასებლების აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული პროგრამის გაუმჯობესების და განახლების პროცესში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე, თუ რამდენად აღსრულებადია ისინი, პროგრამის სუსტი მხარეების გამოვლენაზე. ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში პროგრამ-ხელმძღვანელი აკადემიურ პერსონალთან კონსტრუქციული თანამშრომლობით ამზადებს სპეციალურ გეგმას პროგრამის გაუმჯობესების და დახვეწის გზების თაობაზე და წარუდგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წერილობითი ფორმით. რეზიდენტურის პროგრამის ხარისხის ერთ-ერთი სპეციფიური მარკერია სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით გადალახული რეზიდენტების რიცხვი, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური შეფასებას შესაძლებლობას იძლევა.

- პროგრამის მართვა და აღმინისტრირება**

სარეზიდენტო პროგრამა ძირითად აქცენტს აკეთებს იმ უნარ-ჩვევებზე, რომლებიც აუცილებელია დახელოვნებისათვის პრაქტიკულ ნევროლოგიაში, პაციენტების მეურვეობისადმი, განათლებისა და კვლევისადმი ინტერესისა და ენთუზიაზმის გაღვივებაზე. პროგრამის ჩატარებაზე პასუხისმგებელია პროგრამ-ხელმძღვანელი, რომელიც რეზიდენტებთან პედაგოგიური საქმიანობისათვის გამოყოფს დროს. ნევროლოგიური რეზიდენტურის პერიოდში ხორციელდება რეზიდენტის საქმიანობის ფრთხილი მონიტორირება მის მიერ ცოდნის ათვისების და შესაბამისი უნარ-ჩვევების შექმნის თვალსაზრისით. ყოველ რეზიდენტს ჰყავს პერსონალური

მოდულზე პასუხისმგებელი პირი (სუპერვაიზორი), რომლის ფუნქციაა პროცესის პრაქტიკული წარმართვა. პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობა რეზიდენტის პრაქტიკულ მუშაობას. მივლი წლის დიდაქტიური მასალა წინასწარ გაწერილია და მიეწოდება რეზიდენტებს ლექციების, სემინარების, კოლოკიუმების, რაუნდების და კონფერენციების მეშვეობით. ყოველი კლინიკური როტაციის დასრულების შემდეგ აკადემიური პერსონალი ფორმალურად აფასებს რეზიდენტებს.

პროგრამ-ხელმძღვანელის მოვალეობები

რეზიდენტურის პროგრამას უძღვება ხელმძღვანელი, დარგის ავტორიტეტული პიროვნება - პროგრამ-ხელმძღვანელი. იგი პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებაზე. პროგრამ-ხელმძღვანელს უნდა ეკავოს წამყვანი პოზიცია იმ კლინიკაში/ინსტიტუტში, სადაც განხორციელდება სარეზიდენტო პროგრამა. ამ თანამდებობაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე მისი უწყვეტად ყოფნა და ლიდერის ფუნქციები პროგრამის სტაბილურობის გარანტია. პროგრამ-ხელმძღვანელის კვლითი კვლევა უნდა იყოს დადასტურებული სპეციალური, მისი განათლებისა და ადმინისტრაციული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტით. მას უნდა ჰქონდეს სპეციალობის მოქმედი სერტიფიკატი, მოქმედი სამედიცინო ლიცენზია და ეკავოს შესაბამისი სამედიცინო თანამდებობა.

პროგრამ-ხელმძღვანელმა უნდა უხელმძღვანელოს და განახორციელოს რეზიდენტების საგანმანათლებლო პროცესი ბაზისურ კომპეტენციებში - პაციენტის მეურვეობა, სამედიცინო ცოდნა, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და მისი გაუმჯობესება, ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები, პროფესიონალიზმი, სისტემაზე დაფუძნებული პრაქტიკა, აკადემიური საქმიანობა.

პროგრამ-ხელმძღვანელი ვალდებულია:

- თვალყური ადევნოს და უზრუნველყოს დიდაქტიური და კლინიკური განათლების ხარისხი პროგრამაში მონაწილე ყველა საიტზე;
- დაამტკიცოს ყოველი მონაწილე საიტის მოდულზე პასუხისმგებელი პირი;
- დაამტკიცოს აკადემიური პერსონალის არჩეული წევრები;
- შეაფასოს აკადემიური პერსონალი და დაამტკიცოს მათი ხანგრძლივი მონაწილეობა პროგრამაში;
- მონიტორირება გაუწიოს რეზიდენტების ზედამხედველობას ყველა მონაწილე საიტზე;
- მოამზადოს და ხელი მოაწეროს საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას, რაც იქნება მოთხოვნილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ;
- თითოეულ რეზიდენტს წარუდგინოს მისი საქმიანობის ნახევარწლიანი შეფასების დოკუმენტი, მასზე უკურავირობით;
- განახორციელოს ყველა რეზიდენტის სარეზიდენტო განათლების ვერიფიკაცია (მათ შორის ვინც პროგრამა ვერ დაასრულა);
- დაეთანხმოს უმაყოფილების ნებისმიერ საბაბს და სპონსორი კლინიკის/ინსტიტუტის მიერ აღსრულებულ ჯეროვან სამართლებრივ პროცედურებს;
- დადგენილი და პროგრამული მოთხოვნების თანახმად მოახდინოს რეზიდენტების მორიგეობასთან და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების იმპლემენტაცია;
- მონიტორირება გაუწიოს და უზრუნველყოს პაციენტების დამატებითი მომსახურება რთული ან პრობლემატიკური მეურვეობის დროს;
- დაემორჩილოს რეზიდენტების სელექციის, სუპერვაიზორობის, შეფასების, მხარდაჭერის პროცესებთან და დისციპლინარულ სანქციებთან დაკავშირებულ სპონსორი კლინიკის/ინსტიტუტის გაწერილ პოლიტიკასა და პროცედურებს;
- გაეცნოს და დაეთანხმოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს პოლიტიკასა და პროცედურებს;

აკადემიური პერსონალის მოვალეობები

აკადემიური პერსონალი უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამ-ხელმძღვანელით და არანაკლებ ექვსი ექიმით, რომლებიც კლინიკურ საქმიანობასთან ერთად განახორციელებენ პედაგოგიურ მუშაობას. აღსანიშნავია, რომ რეზიდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უნდა შეადგენდეს 1:1. აკადემიური პერსონალის ყველა წევრს უნდა გააჩნდეს სპეციალობის მოქმედი სერტიფიკატი და დოკუმენტირებული კვალიფიკაცია.

აკადემიური პერსონალის წევრებმა უნდა გამოავლინონ ინტერესი რეზიდენტების საგანმანათლებლო პროცესის მიმართ და დაუთმობენ საკმარისი დრო მათ საბაზისო და კლინიკურ განათლებას.

აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეუქნას რეზიდენტებს ხელსაყრელი კლინიკური გარემო და უზრუნველყოს უწყვეტი ინსტრუქტირება სემინარების, კონფერენციების და სასწავლო რაუნდების

მეშვეობით.

აკადემიური პერსონალის წევრები თავისი განსხვავებული ინტერესით ნევროლოგიის სხვადასხვა სფეროს მიმართ უნდა აკმაყოფილებდნენ სარეზიდენტო პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებს. ამასთანავე, რეზიდენტების განკარგულებაში უნდა იყოს ექიმების შტატი სპეციალური კვალიფიკაციით ნევროლოგიასთან დაკავშირებულ ყველა დისციპლინაში. გარდა ამისა, რეზიდენტებს უნდა ჰქონდეთ კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა მედიცინის ყველა სფეროში. ექიმ-კონსულტანტს უნდა ეკავოს შესაბამისი სამედიცინო თანამდებობა, ჰქონდეს მოქმედი სამედიცინო ლიცენზია და იყოს კომპეტენტური როგორც კლინიკურ, ასევე პედაგოგიურ საქმიანობაში.

აკადემიურმა პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს რეზიდენტების აკადემიურ საქმიანობას და წახალისოს მათი ჩართვა მეცნიერულ საქმიანობაში. მიიღოს აქტიური მონაწილეობა კლინიკურ რაუნდებსა და დისკუსიებში, კონფერენციების ორგანიზებაში. აკადემიური პერსონალის წევრებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური საქმიანობის გამოცდილება: რევენუები, პუბლიკაციები, მონოგრაფიები, მონაწილეობა ლოკალურ და საერთაშორისო კონფერენციებში.

რესურსები

სარეზიდენტო პროგრამამ და კლინიკამ/ჰოსპიტალმა ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროცესი ადეკვატური რესურსებით:

- რეზიდენტების სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი პაციენტების პოპულაცია ნევროლოგიური დარღვევების ფართე სპექტრით, მათ შორის ჰოსპიტალური, ამბულატორული, გადაუდებელი და ინტენსიური;
- ამბულატორული და ჰოსპიტალური საქმიანობის ადეკვატური პირობები, ოთახები გამოკვლევისათვის, საკონფერენციო სივრცე, საოფისე ფართი რეზიდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის;
- ადეკვატური დიაგნოსტიკური შესაძლებლობები და თერაპიული სერვისი. უნდა არსებობდეს შესაბამისი კავშირი რადიოლოგიის, შინაგანი მედიცინის, პედიატრიული ნევროლოგიის და ფსიქიატრიის აკადემიურ პერსონალთან, მჭიდრო ურთიერთობა ნეიროქირურგიულ სერვისთან. ამასთანავე, პროგრამაში უნდა იყოს ჩართული და გამოყენებული შემდეგ დიაგნოსტიკურ სუბსპეციალობათა პერსონალი და აღჭურვილობა: CT, MRI, ეეგ, ენმგ, მიელოგრაფია, ანგიოგრაფია, პათომორფოლოგიური ლაბორატორია.
- ინტერნეტით ხელმისაწვდომი ელექტრონული სამედიცინო ლიტერატურა.

რეზიდენტის დანიშნვა. რეზიდენტის მოვალეობა

- პროგრამ-ხელმძღვანელი უნდა დაემორჩილოს დადგენილი წესებით განსაზღვრულ რეზიდენტის ჩართვის კრიტერიუმებს;
- პროგრამ-ხელმძღვანელს არ შეუძლია ჩართოს უფრო მეტი რეზიდენტი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტაციის შედეგად. პროგრამის საგანმანათლებლო რესურსები უნდა იყოს რეზიდენტების რაოდენობის ადეკვატური.
- პროგრამ-ხელმძღვანელს არ შეუძლია მიიღოს სხვა პროგრამიდან გადმოსული რეზიდენტი მისი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და კომპეტენციაზე დაფუძნებული საქმიანობის ჯამური შეფასების წერილობით ვერიფიკაციამდე;
- პროგრამ-ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს რეზიდენტის განათლების დროული ვერიფიკაცია და იმ რეზიდენტების საქმიანობის ჯამური შეფასება ვინც პროგრამა ვერ დაასრულა;
- რეზიდენტი მოვალეა დაემორჩილოს კლინიკის/ინსტიტუტის შინაგანაწესს და განახორციელოს საქმიანობა პროგრამ-ხელმძღვანელის მკაცრი კონტროლისა და ზედამხედველობის პირობებში.

პროგრამის ხანგრძლივობა

სარეზიდენტო პროგრამის მთავარი მიზანია ექიმ ნევროლოგის მომზადება დამოუკიდებელი პრაქტიკისათვის კლინიკური ნევროლოგიის დარგში. ნევროლოგიის სპეციალობით სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია; ამ პერიოდში პროგრამა უზრუნველყოფს რეზიდენტების კლინიკურ განათლებას, მათ შორის შინაგან მედიცინაშიც.

რეზიდენტების საგანმანათლებლო პროგრამა პარმონიულად აერთიანებს რეზიდენტის მიერ პაციენტების ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ მეთვალყურეობას, საკონსულტაციო მუშაობას, სასწავლო პროცესს და აკადემიურ საქმიანობას.

სწავლების პირველი წელი მოიცავს სავალდებულო 6 თვიან წრთობას შინაგან მედიცინაში, ორთვიან როტაციებს პედიატრიაში, ურგენტულ მღვდომარეობათა მენეჯმენტსა და ნევროლოგიაში. ამავე წელს გათვალისწინებულია ფაკულტატიური მოდულები ეპიდემიოლოგიასა და ჯანდაცვის ეკონომიკა/პოლიტიკაში, მტკიცებით მედიცინასა და სამედიცინო ინფორმატიკაში, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის სამართლებრივ-ეთიკურ საფუძვლებში (1 თვე). წრთობას კლინიკურ ნევროლოგიაში ეთმობა 22 თვე; კურიკულუმი მოიცავს როგორც ძირითად ნევროლოგიურ, ასევე ელექტიურ მოდულებს ნევროლოგიის სუბსპეციალობებში. ამავდროულად პროგრამა უზრუნველყოფს წრთობას ნევროლოგიის მომიჯნავე დისციპლინებში – პედიატრიული ნევროლოგია, ფსიქიატრია, ნეიროქირურგია, ოკუპაციური მედიცინა და რეაბილიტაცია.

- **პროგრამის განახლების პერიოდულობა**

პროგრამა განახორციელებს რეზიდენტის საქმიანობის, აკადემიური პერსონალის განვითარების, სწავლების ხარისხის, სასწავლო პროცესის საბოლოო დასრულების და სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით გადალახვის მონიტორინგს და დებულებების შესაბამის აღსრულებას. პროგრამის დებულებით გათვალისწინებულია კურიკულუმის ყოველწლიური შეფასება, რომელიც უნდა იყოს დადასტურებული სპეციალურად შედგენილი დოკუმენტით. ეს დოკუმენტი მოიცავს რეზიდენტების და აკადემიურ პერსონალის კონფიდენციალურ ყოველწლიურად ანგარიშს პროგრამის თაობაზე სწავლების მიზნებსა და ამოცანების, მათი თავსებადობის შეფასებით, პროგრამის სუსტი მხარეების ანალიზით. მათი და პროგრამის სხვა შემფასებლების აზრი იქნება გათვალისწინებული პროგრამის რევიზიის პროცესში. ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში პროგრამა-ხელმძღვანელი აკადემიური პერსონალთან ერთად ამზადებს სპეციალურ გეგმას პროგრამის გაუმჯობესების და დახვეწის გზების შესახებ და წარუდგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წერილობითი ფორმით.

- **პროგრამის შესაბამისობა** (ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის შესაბამის პროგრამებთან, ასევე საქართველოში არსებულ პროგრამებთან)

ევროპულ სივრცეში პოსტდოქტორული (სარეზიდენტო) განათლების რეფორმის იმპლემენტაცია ჯანდაცვის პოლიტიკის ცვლილების, საყოველთაო კრიტიციზმისა და ექიმის პროფესიისადმი რწმენის შელახვის შედეგია და უცილობლად გულისხმობს საგანმანათლებლო სტრუქტურის დახვეწას და სამედიცინო სწავლების ხარისხზე, კომპეტენციაზე, სასწავლო პროგრამებზე ზედამხედველობის გამკაცრებას. საგანმანათლებლო სფეროს რეფორმირების მთავარ პრიორიტეტად მოიაზრება სამედიცინო სწავლების სტანდარტიზაცია, რაც განაპირობებს ექიმებისა და სტაჟიორების მობილურობის და არჩევანის თავისუფლებას ევროპულ სივრცეში.

დღეის მღვდომარეობით სამედიცინო სარეზიდენტო განათლება ორიენტირებულია ძირითადი კომპეტენციების დაუფლებაზე და სასწავლო პროცესის ეფექტურობა ამ მოთხოვნათა თანახმად რეზიდენტების კომპეტენციის შეფასებით განისაზღვრება.

რეფორმის პირველი ეტაპის - ახალგაზრდა ექიმების წრთობის გაუმჯობესების შედეგად მივიღეთ სტრუქტურირებული სასწავლო პროცესი და სუპერვაიზორული სწავლება. ამჟამად ყოველ სპეციალობას აქვს უფრო მეტიოფილი კურიკულუმი, მაძიებლებს შეუძლიათ სუპერვაიზორ-დამრიგებლისგან მიიღონ რეგულარული რჩევა და მხარდაჭერა, აკრედიტაცია კი გაიცემა მხოლოდ კომპეტენციის შეფასების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ რეფორმამ მოახდინა სასწავლო პროცესის გაუმჯობესება, სტანდარტიზაცია და კოორდინაცია, სუპერვაიზორულმა სწავლამ კი წახალისა დამოუკიდებლობა (ავტონომურობა) თვითგანათლების საქმეში, რასაც მოყვა თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის გაუმჯობესება.

წარმოდგენილი ნევროლოგიური სარეზიდენტო პროგრამა ამ რეფორმის შესაბამისად აივო. შემცირდა სწავლის ხანგრძლივობა. კურიკულუმი განსაზღვრულია დოკუმენტის სახით და პერიოდულად განახლებადია, მოიცავს სუბსპეციალობებს ნევროლოგიის დარგში და ეფუძნება როტაციებს რამოდენიმე სასწავლო სამედიცინო ცენტრში (კოსპიტალში). პროგრამის მთავარი მოთხოვნაა სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და აკადემიური პერსონალის თვითშეფასების დაწერვა. დამოუკიდებლობის მიღწევის და სამედიცინო სფეროში წრთობის (მომზადების) გაგრძელების საუკეთესო ხერხად მოიაზრება თვითსწავლების დაწერვა, ამავდროულად სასწავლო პროცესის პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოება, როგორც სამედიცინო

პროგრესისა და პაციენტების სრულყოფილი მეურვეობის მთავარი სტიმული.

• **პროგრამის თანხმება (მომიჯნაველობის პრინციპი)**

პოსტდიპლომური განათლების რეფორმა გლობალური ტენდენციის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების ნდობაზე აგებულ და მის წინაშე ანგარიშვალდებულ სამედიცინო სტრუქტურების დაფუძნებას. ეს პროცესი უცილობლად გულისხმობს სარეზიდენტო განათლების ტრანსფორმირებას მოსახლეობის ჯანმრთელობის მოთხოვნათა თანახმად და სასწავლო პროგრამების თავსებადობას ჯანდაცვისა და განათლების პოლიტიკასა და რესურსებთან. მოსახლეობის პოპულაციაში ნევროლოგიური დაავადებებით გამოწვეული უნარშეზღუდვა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე რჩება, შეადგენს 28% და ამიტომ ნევროლოგიური განათლება სამედიცინო კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ცნობილია ფაქტია, რომ ნეიროფობიით შეპყრობილ მედიკოს სტუდენტებს ნევროლოგიის თეორიული საკითხების გააზრება სხვა დისციპლინებთან შედარებით ეძნელებათ. მრავალრიცხოვანი გამოკითხვებით დადგენილია, რომ სწავლების არსებული სისტემა ჯერ ისევ ხარვეზიანია და მთავარი მიზეზი ცუდი ხარისხის და არაადეკვატური სწავლებაა. ასე რომ წამოწეული რეფორმა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ერთადერთი გზაა.

ნევროლოგია სპეციფიური კლინიკური დისციპლინაა, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან მდგომარეობებს და ხშირად სცილდება სპეციალობის საზღვრებს. შესაბამისად სარეზიდენტო პროგრამის კურიკულუმში აქცენტირებულია ნევროლოგიის როგორც შინაგანი მედიცინის ერთერთი დარგის სწავლების მნიშვნელობა, სასწავლო პროცესში კლინიციისტების მულტიდისციპლინური გუნდის ჩართვა და აქტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. პრობლემაზე ფოკუსირებული ნევროლოგიური გამოკვლევა, რომელსაც ყველა ახალბედა ექიმი ეზიარება, თანდათან ინერგება საერთო გასინჯვის სტრუქტურაში (პროცედურებში) და რუტინულ ხასიათს იძენს. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება, გამყარებული კლინიკური უნარ-ჩვევებით, გონივრული მსჯელობითა და შესაბამისი ქცევით აღიარებულია საფუძვლიანი სწავლების ლეიტმოტივად.

ჩვენი აზრით, კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა აუცილებელი ელემენტის ეფექტური მიწოდება რეზიდენტებისადმი გარკვეულწილად იქნება უზრუნველყოფილი ერთი აკადემიური პერსონალის ჩართვით სწავლების პრედიპლომურ და პოსტდიპლომურ ეტაპებზე. ამასთანავე, სასწავლო პროცესით ნაწილობრივ დაკავებული პედაგოგები დასახულ ამოცანებს ვერ გადაჭრიან. სარეზიდენტო პროგრამაში განსაკუთრებით ხაზგასმულია პედაგოგების წრთობის საკითხი, მათში დამრიგებლის სურვილის გადვივება და არა მხოლოდ დარგის ექსპერტად აღიარება, საგანმანათლებლო ხელოვნების, ისევე როგორც სამეცნიერო-კვლევითი ან პრაქტიკული საქმიანობის წახალისება.

ცხადია, რომ დახვეწას მოითხოვდა რეზიდენტების უკურავირებისა და ინდუქციის მექანიზმები, საჭირო გახდა რეზიდენტების შეფასების სისტემის სრულყოფა და გამკაცრება. სერიოზული გამოწვევა და გარკვეულწილად ტვირთი იყო ძირითადი კომპეტენციების სწავლების და შეფასების მოთხოვნა, თუმცა დღეს ამ პროცესს სამედიცინო განათლების ძირფესვიანი და ეფექტური რეფორმის რანჟში განიხილავენ. დღეის მდგომარეობით კომპეტენციაზე დაფუძნებული კლინიკური უნარებისა და პრაქტიკული ჩვევების შეფასებისა ასევე ჩადებულია უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში, ექიმთა სერტიფიცირების და ლიცენზირების პროცესებში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების ჩვევის გამოქვეყნებას, აქცენტის გადატანით პასიური მეთოდებიდან აქტიური სწავლების მეთოდებზე (თვით-წარმართული და დამოუკიდებელი სწავლება, ტუტორიული მეთოდი). წარმოდგენილი სარეზიდენტო პროგრამა, მისი კურიკულუმი და შეფასების სისტემა აწვობილია იმდარგად, რომ მიღწევაა არა მხოლოდ ინფორმაციის შენახვა და მისი მოხმარება, არამედ ექიმის პროფესიული კომპეტენცია და სოციალური ღირებულებები. სარეზიდენტო პროგრამაში მკაფიოდ იკვეთება განათლებისა და მეცნიერების, განათლებისა და პრაქტიკის თავსებადობა.

კურიკულუმის ერთერთი მოთხოვნაა საგანმანათლებლო სივრცის გაფართოვება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველა რესურსის და არა მხოლოდ კლინიკის/პოსპიტლის გამოყენება. უარყოფილია შეხედულება, რომ ნევროლოგიის სწავლება სპეციალისტების ერთი ჯგუფის ექსკლუზიური პრიორიტეტია. განსხვავებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნით (სწავლება პალატაში, ინტენსიურ ან რეაბილიტაციის განყოფილებებში, ამბულატორიაში და სხვა) რეზიდენტების წრთობაში ჩართულია მულტიდისციპლინური გუნდი, პირველადი რგოლის ექიმები, თერაპევტები, პედაგოგები, ოჯახის ექიმები და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები.

კურიკულუმში შეესაბამება ნაციონალური ჯანდაცვის პრიორიტეტებსა და რესურსებს, მორგებულია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე და მოსახლეობის ნევროლოგიური ჯანმრთელობის მოთხოვნებზე.

მასში ასახულია საზოგადოების ნევროლოგიური ჯანმრთელობის ასპექტები, ლოკალური პრიორიტეტები. დიდი ყურადღება ექცევა ხშირ, პრევენტაბელურ, კურაბელურ და მწვავედ განვითარებულ ნევროლოგიურ დაავადებებს. პაციენტების მენეჯმენტის საკითხებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათ ინსტრუქტირებას აქცენტის გადატანით დაავადების პრევენციაზე, ჯანმრთელობის ხელშეწყობაზე. სრული დიაპაზონით ჩართულია პრევენციული, თერაპიული და რეაბილიტაციური სტრატეგია. კურიკულუმის აუცილებელი კომპონენტებია ეპიდემიოლოგიური და ქცევით-მეცნიერებათა საკითხები, ამავდროულად საბაზისო მეცნიერებები ინტეგრირებულია კლინიკურ დისციპლინებთან. კურიკულუმში არ არის დატვირთული არარეალური და განუხორციელებადი ამოცანებით ან მიზნებით. მასში კარგად იკვეთება ჯანდაცვის სისტემის შეზღუდულობა არსებული რესურსებითა და ნაციონალური ეკონომიური ზრდით და მუხედავად ამ ვითარების ოპტიმალური მეურვეობის იმპერატიული მოთხოვნა.

II. პროგრამის ზოგადი ნაწილი

პროფესიული მზადების I ფლის მოდულები

მოდული 1.1.

- მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - **შინაბანი მემოცინა (6თვე)**
- მოდულის მიზანია - ძირითადი სომატური პათოლოგიების თანამედროვე დიაგნოსტიკური ალგორითმის გაცნობა; განსაკუთრებული ყურადღების ექცევა იმ ნოზოლოგიებს სადაც ხშირია ნერვული სისტემის დაზიანება. კლინიკაში შემოსული პაციენტების მეურვეობა მოდულზე პასუხისმგებელი პირის სუპერვიზორობით.
- ლიტერატურის ნუსხა –
- Harrison's Principles of Internal Medicine” 17th Edition
- The Merck Manual of Diagnosis and Therapy, 17th Edition.
- Mandell`s Principles and Practice of Infectious Diseases. 5 th Edit. 2004.
- Fundamental Immunology by William E Paul. Lippincott Williams & Wilkins; Sixth Edition edition (May 1, 2008).
- Roitt, I., Brostoff, J. and Male, D. Immunology (7th edn.) Mosby. 2003.
- შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1-ის სახით).

(ცხრილი № 1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>ციკლები:</p> <p>კარდიოლოგია² თვე, 1.კარდიოლოგიის ზოგადი საფუძვლები; 2.არტერიული ჰიპერტენზია; 3.გულის იშემიური დაავადება; 4.გულის შეძენილი მანკები; 5.გულის კუნთის</p>	<p>ანამნეზის შეფასებისა და ანალიზის უნარი; ალგორითმული ტაქტიკის აღდგო; პოლისტური მიდგომა; ექიმ-პოსპიტალისტი ს ჩვევები; გადაწყვეტილების მიღება კლინიკური აზროვნებისა და მსჯელობის საფუძველზე.</p>	<p>კლინიკაში შემოსული პაციენტების მეურვეობა მოდულზე პასუხისმგებელი პირის სუპერვიზორობით, დილის კონფერენციების, კლინიკური რაუნდების და გარჩევების დასწრება; ღამის მორიგეობა; მოხსენება დილის კონფერენციებზე; სამედიცინო ჩანაწერების წარმოება.</p> <p>პაციენტების მეურვეობა კარდიოლოგიური პრობლემით, კარდიოგენული ეტიოლოგიის ნევროლოგიური დაავადებების ჩათვლით, პათოგენეზის, კლინიკური გამოვლინებების განხილვით, დიფერენციული დიაგნოზი</p>	<p>იხ. მე-6 თავი</p>

<p>დაავადებები; 6. გულის უკმარისობა; 7. არითმიები; 8. გადაუღებელი კარდიოლოგია.</p> <p>ენდოკრინოლოგია 1 თვე. 1. ენდოკრინოლოგიის საფუძვლ ები. ენდოკრინულ ჯირკვალთაგ ამოკვლევის მეთოდები; 2. ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზის სისტემის დაავადებები; 3. თირკმელზედა ჯირკვლის დ-ბი; 4. კუჭქვეშა ჯირკვლის კუნძულოვანი აპარატის დ-ბი; 5. ფარისებრი ჯირკვლის დ-ბი; 6. სიმსუქნე; 7. სასქესო ჯირკვლების პათოლოგიის ენდოკრინული ასპექტები; 8. ჰიპოფიზური წარმოშობის ნაადრევი სქესობრივი მომწიფება; 9. ოსტეოპოროზი.</p> <p>რევმატოლოგია – 1 თვე. 1. შემაერთებელი ქსოვილის სისტ ემური დაავადებები: სისტემური წითელი მგლურა, სკლეროდერმია, დერმატომიოზიტი, შეგრენის დაავადება, რევმატოიდული ართრტი, შემაერთებელი ქსოვილის შერეული დაავადებები, რევმატიული პოლიმიალგია, მორეციდივე პოლიქონდრიტი; 4. სისტემური ვასკულიტები; 5. არასპეციფიკური აორტო-არტერიტი; 6. ანკილოზირებადი სპონდილოართრიტი, რეაქტიული ართრიტები, და არადიფერენცირებული სპონდილოართროპათია; 7. შერეული კრიოგლობულინემია.</p>		<p>და მეურნალობა. ეკვ (30 მანიპულაცია) და ექოკარდიოსკოპიის (10 მანიპულაცია) შესრულება და მონაცემთა კლინიკური ინტერპრეტაცია; კოაგულოგრამის, სისხლის ბიოქიმიური პარამეტრების კლინიკური ინტერპრეტაცია.</p> <p>პაციენტების მეურვეობა ენდოკრინული პათოლოგიით: გამოკვლევა-გასინჯვა, დაავადების პათოგენეზისა და კლინიკური გამოვლინების, მათ შორის ნევროლოგიური სინდრომის, განხილვა, დიფერენციული დიაგნოზი და მეურნალობა. ექოსკოპიის, CT/MRI, ლაბორატორული, რადიოიზოტოპური და ციტოლოგიური გამოკვლევები ს მონაცემთა ინტერპრეტაცია და კლინიკური გამოყენება.</p> <p>პაციენტების მეურვეობა შემაერთებელი ქსოვილის და სახსროვანი პათოლოგიით: გამოკვლევა-გასინჯვა, დაავადების პათოგენეზისა და კლინიკური გამოვლინების, მათ შორის ნევროლოგიური სინდრომის განხილვა, დიფერენციული დიაგნოზი და მეურნალობა. რენტგენოგრაფიული კვლევის, დენსიტომეტრიის, ლაბორატორულ მონაცემთა ინტერპრეტაცია და კლინიკური გამოყენება</p>	
---	--	--	--

<p>მაბლიტერირებელი თრომბანგიტი, ბეჰნეტის სინდრომი;</p> <p>8. სპონდილოართრიტებთან შერწყმული ართრიტები;</p> <p>9. ნაწლავების ქრონიკულ არასპეციფიკურ დაავადებასთან, ინფექციურ დაავადებებთან ასოცირებული ართრიტები;</p> <p>10. მიკროკრისტალური ართრიტები;</p> <p>11. ოსტეოართროზები;</p> <p>12. სახსარგარეშე რბილი ქსოვილების დაავადებები.</p> <p>ინფექციური სნეულებები - 1 თვე</p> <p>1. ენტეროინვაზიური პათოგენებით გამოწვეული დიარეული დაავადებები;</p> <p>2. არაინვაზიური ენტეროტოქსიგენური პათოგენებით გამოწვეული დიარეული დაავადებები;</p> <p>3. საქართველოში გავრცელებული პროტოზოოზები და პელმინთოზები;</p> <p>4. ენტერალური ჰეპატიტები (A და E). სიყვითლით მიმდინარე ზოონოზები;</p> <p>5. პარენტერული ვირუსული ჰეპატიტები და შიდსი;</p> <p>6. მენინგეალური სინდრომით და ნევროპათოლოგიური სიმპტომებით მიმდინარე ინფექციები;</p> <p>7. ხახის და ზიანებითა და რესპირატორული სინდრომით მიმდინარე ინფექციები;</p> <p>8. ლიმფური კვანძებისა და კანის და ზიანებით (ეგ ზანთემით) მიმდინარე ინფექციები;</p> <p>9. ვახანგრძლივებული ცხელებით მიმდინარე ინფექციები;</p> <p>10. საქართველოში გავრცელებული ზოონოზები.</p> <p>კლინიკური იმუნოლოგია - 1 თვე</p> <p>1. ცნება ორგანიზმის ალერგიული რეაქტიულობის შესახებ, იმუნიტეტი, იმუნური სისტემის ცენტრალური და პერიფერიული ორგანოები, ალერგია, ანაფილაქსია,</p>		<p>პაციენტების მეურვეობა ინფექციური პათოლოგიით: გასინჯვა, დაავადების პათოგენეზისა და კლინიკური გამოვლინების, მათ შორის ნევროლოგიური სინდრომის განხილვა, დიფერენციული დიაგნოზი, გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაცია და კლინიკური გამოყენება, მკურნალობა.</p> <p>პაციენტების მეურვეობა იმუნური სისტემის დარღვევებით: გასინჯვა, დაავადების პათოგენეზისა და კლინიკური გამოვლინების, მათ შორის ნევროლოგიური სინდრომის განხილვა, დიფერენციული დიაგნოზი, გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაცია და კლინიკური გამოყენება, მკურნალობა.</p>	
--	--	--	--

<p>ატოპია. ანტიგენი და ალერგენი. ალერგენების კლასიფიკაცია;</p> <p>2. ალერგიული რეაქციის ტიპები;</p> <p>3. ალერგიული დაავადებების სპეციფიკური დიაგნოსტიკა, ალერგიული დაავადებების მკურნალობის მეთოდები (არასპეციფიკური და სპეციფიკური თერაპიის პრინციპები);</p> <p>3. ბრონქული ასთმა;</p> <p>4. პოლინოზი;</p> <p>5. მედიკამენტური ალერგია;</p> <p>6. ანაფილაქსიური შოკი;</p> <p>7. შრატის დაავადებები;</p> <p>8. კვებითი ალერგია;</p> <p>9. კანის ალერგიული დაავადებები;</p> <p>10. ალერგიული რინიტი;</p> <p>11. ალერგიული რეაქციები მწერებზე;</p> <p>12. იმუნოდეფიციტი – პირველადი, მეორადი, კლასიფიკაცია, სპეციფიკური და არასპეციფიკური იმუნოდეფიციტი.</p>			
---	--	--	--

მოდული 1.2.

- მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - ნევროლოგია (2 თვე)
- მოდულის მიზანია - მედიცინის ფუნდამენტური და კლინიკური კვლევის თანამედროვე პრინციპების განხილვა. აღნიშნული მოდული კომპლექსურია და შედგება ოთხი - იმუნოლოგიის, კლინიკური ფარმაკოლოგიის, ფიზიოლოგიის და პათოფიზიოლოგიის – ქვემოდულისაგან. ამავე პერიოდში რეზიდენტები ეუფლებიან ნევროლოგიური სიმპტომატიკით პაციენტების შეფასებას (“ინტერვიუ”, ნეიროსტატუსი), გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაციას და შესაბამისი დიაგნოსტიკური კვლევების დანიშნავს (ევგ, ენმგ, გპ, ლუმბალური პუნქცია, თავისა და ხერხემლის CT და MRI).
- ლიტერატურის ნუსხა –
 - Textbook of Medical Physiology, Arthur C. Guyton, Saunders; 11 edition ,1 Sep, 2005.
 - Basic & Clinical Pharmacology ,Bertman G. Katzung. McGraw-Hill Medical; 11 edition (July 1, 2009).
 - C.A.Janeway, P.Travers, M. Walport, M.Shlomchik. Immunobiology. 6th edition., 2005
 - Pharmacology, fourth edition (H.P. Rang, M.M. Dale)
 - Anatomy and Psysiology, third edition, reviced printing (Seeley Stephens Tate)
 - Textbook of Medical Physiology, ninth edition
 - Human Anatomy and Physiology, fifth edition (Elaine N. Marieb
 - Handbook of Contemporary Neuropharmacology by David R. Sibley, Israel Hanin, Michael Kuhar, and Phil Skolnick. Wiley-Interscience; 1 edition (March 30, 2007). t 1,2,3.
 - Principles of Pharmacology – The Pathophysiologic Bases of Drug Therapy, by David E. (Author, Editor), M.D. Golan (Author, Editor), Armen H. (Editor), Jr. (Editor), M.D. Tashjian (Editor), Ehrin J. (Editor), M.D. Armstrong (Editor), Lippincott William & Wilkins, 2008
- შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>ფუნდამენტური მედიცინის საფუძვლები 1.ორგანიზმის ფუნქციების რეგულაცია და ფიზიოლოგიური ინტეგრაცია; 2. ნეირონთა შორისი კომუნიკაციის საფუძვლები; 3. ტკივილის ფიზიოლოგია; 4. მოტივაცია და ემოცია; 5. ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციურ-სტრუქტურულ დონეზე განვითარებული პათოლოგიური პროცესების ურთიერთობისა და ინტეგრაციის კანონზომიერებანი; 6. სარეგულაციო სისტემების როლი ადაპტაციური პროცესების განვითარებაში; 7.მეხსიერების როლი ადაპტაციური ქცევის განხორციელებაში; 8.სპეციფიური ადაპტაციის მექანიზმები. სტრეს-რეაქცია. ზოგადი ადაპტაციური სინდრომი; 9. ექსტრემალური მდგომარეობის ზოგადი პათოგენეზი. შოკი; 10. იმუნური სისტემის ზოგადი დახასიათება; 11. იმუნური პასუხის რეგულაცია; 12. სიმსივნის იმუნოლოგია; 13. აუტოიმუნიტეტი და აუტოიმუნური დ-ბი; 14. იმუნური სისტემის კლინიკური და ლაბორატორიული შეფასება; 15. კლინიკური ფარმაკოკინეტიკისა და კლინიკური ფარმაკოდინამიკის ძირითადი პრინციპები, რაციონალური ფარმაკოთერაპია; 16. არასასურველი წამლისმიერი რეაქციები. კლინიკური ფარმაკოეკონომიკა, ფარმაკოეპიდემიოლოგია; 17. ფარმაკოთერაპია და მტკიცებითი მედიცინა. 18.ფარმაკოთერაპიის სახეები-ეტიოტროპული, პათოგენეზური; 19. ფარმაკოთერაპიის სახეები - სიმპტომატური, პროფილაქტიკური. 20. გადაუღებელ მდგომარეობათა კლინიკაში გამოყენებულ მედიკამენტთა ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური დახასიათება.</p>	<p>ფუნდამენტური და კლინიკური მედიცინის თანამედროვე პრინციპების ათვისება და გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. ანამნეზის შეფასებისა და ანალიზის უნარი; ალგორითმული ტექნიკის ალღო; ჰოლისტური მიდგომა; ექიმ-პოსაპიტალისტის ჩვევები; გადაწყვეტილების მიღება კლინიკური აზროვნებისა და მსჯელობის საფუძველზე</p>	<p>კლინიკაში შემოსული პაციენტების მეურვეობათავე. მოდულზე პასუხისმგებელი პირის სუპერვაიზორობით: სრულყოფილი ნევროლოგიური ინტერვიუ, ფიზიკალური გამოკვლევა, დაავადების სიმპტომებისა და ნიშნების ორგანული ან ფსიქოლოგიური ბუნების დადგენა, გამოკვლევების გეგმის დასახვა. დილის კონფერენციების, კლინიკური რაუნდების და გარჩევების დასწრება; დამის მორიგეობა; მოხსენება დილის კონფერენციებზე; სამედიცინო ჩანაწერების წარმოება. ლექცია/სემინარების დასწრება.</p>	<p>იხ. მე-6</p>

მოდული 1.3.

- მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - **პედიატრია (2 თვე)**
- მოდულის მიზანია - პერინატალური და ჩვილი ასაკის პათოლოგიის გაცნობა, მოზარდი ასაკის დაავადებების შეფასება და მენეჯმენტი.
- ლიტერატურის ნუსხა –
- NELSON ESSENTIALS of PEDIATRICS by Richard E. Behrman and Robert M., M.D. Kliegman (Paperback - Jan 15, 2002).
- Evidence-Based Pediatrics and Child Health with CD-ROM (Evidence-Based Medicine) (Hardcover) by Virginia Moyer (Editor), Elizabeth Elliott (Editor). BMJ Books; 2 Har/Cdr edition (July 30, 2004).
- შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 3-ის სახით).

ცხრილი № 3

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>1.პერინატალური ფიზიოლოგია და ახალშობილის მოვლა. ბავშვის ზრდა და განვითარება;</p> <p>2.ახალშობილ და ჩვილ ბავშვთა ასაკის პათოლოგია;</p> <p>3.თანდაყოლილი ანომალიები;</p> <p>4.განვითარების პათოლოგია;</p> <p>5.ბავშვთა ინფექციური სნეულებები;</p> <p>6.ახალწარმონაქმნები;</p> <p>7.ფილტვის პათოლოგია;</p> <p>8.კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები;</p> <p>9.ალიმენტარული პათოლოგია;</p> <p>10.ენდოკრინულ-მეტაბოლური დარღვევები;</p> <p>11.კუნთსახსროვანი სისტემის და შემავრთბელი ქსოვილის დაავადებები;</p> <p>12.ბავშვთა და მოზარდი ასაკის ფსიქიკური დარღვევები;</p> <p>13.მოზარდი ასაკის სამედიცინო პრობლემები.</p>	<p>ანამნეზის შეფასებისა და ანალიზის უნარი;</p> <p>აგადაწვევტილების მიღება პრობლემის სკურპულოზური შესწავლის, ინფორმაციის მოძიების, კლინიკური მსჯელობის საფუძველზე.</p>	<p>კლინიკაში შემოსული პაციენტების მეურვეობა მოდულზე პასუხისმგებელი პირის სუპერვაიზორობით: ახალშობილის სრული სამედიცინო გამოკვლევა და შეფასება; ჩვილ და ბავშვთა ასაკის პაციენტებში ანამნეზის მოპოვება და ობიექტური გამოკვლევა, სამედიცინო პრობლემების დიაგნოზირება და მეურნალობა.</p> <p>დილის კონფერენციების, კლინიკური რაუნდების და გარჩევების დასწრება; დამის მორიგეობა; მოხსენება დილის კონფერენციებზე; სამედიცინო ჩანაწერების წარმოება.</p>	<p>იხ. მე-6 თავი.</p>

მოდული 1.4.

- მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - **უზბენთულ მდგომარეობათა მენეჯმენტი (1 თვე).**
- მოდულის მიზანია - გადაუდებელი მდგომარეობების სწრაფი გამოცნობა და სწორი მართვა, მანიპულაციური უნარების დაუფლება (ლუმბალური პუნქცია, ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა, ინტუბაციისა და ვინინგის ელემენტები, ლაგვიქვეშა ვენის კათეტერიზაცია).
- ლიტერატურის ნუსხა –
- Rosen’s Emergency Medicine: Concepts and Clinical Practice. Marx JA, Hockberger RS, Walls RM, Adams J, Rosen P. 7th ed. Philadelphia, Pa.: Mosby/Elsevier, 2009.
- Roberts J, Hedges J. Clinical Procedures in Emergency Medicine. 5th ed. Philadelphia, Pa. Elsevier Saunders, 2010.
- The ICU book by Paul L. Marino. Lippincott Williams & Wilkins Publishers (September 2006).
- Critical Care Medicine by John J Marini and Arthur P Wheeler. Lippincott Williams & Wilkins; Fourth Edition edition (November 1, 2009).
- შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 4-ის სახით).

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>1. ურგენტულ მდგომარეობათა მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები;</p> <p>2. ტრავმული დაზიანების, ფიზიკური და სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედების, გადაუდებელი მუან-გინეკოლოგიური და ფსიქიატრიული მდგომარეობის შეფასება და მენეჯმენტი;</p> <p>3. მწვავე ნევროლოგიური, რესპირატორული, კარდიო-ვასკულური, ენდოკრინული, გასტრო-ინტესტინული, ურო-გენიტალური, კუნთ-სახსროვანი პათოლოგიის დადგენა და მენეჯმენტი;</p> <p>4. მწვავე ინტოქსიკაციის დადგენა და მენეჯმენტი;</p> <p>5. დიაგნოსტიკური ტესტების ჩვენება და ინტერპრეტაცია ურგენტული და გადაუდებელი მდგომარეობის დროს.</p>	<p>ანამნეზის შეფასებისა და ანალიზის უნარი;</p> <p>გადაწვევტილების მიღება პრობლემის სკურპულოზური შესწავლის, ინფორმაციის მოძიების, კლინიკური მსჯელობის საფუძველზე.</p>	<p>ურგენტული პაციენტების სწრაფი შეფასება და ინფორმაციის მოძიება, ლოკალურ ხელმძღვანელთან ერთად სამკურნალო გეგმის დასახვა და შესაბამისი პროცედურების წარმოება მდგომარეობის სტაბილიზაციის მისაღწევად;</p> <p>ლაბორატორული, რადიოლოგიური და სხვა დამატებითი გამოკვლევების მონაცემთა, სპეციალისტთა კონსულტაციის გამოყენება;</p> <p>ლუმბალური პუნქციის (5 მანიპულაცია), ნაზოგასტრალური ზონდირების (5 მანიპულაცია), ინტუბაციისა და ვინინგის, ლავიწქეშა ვენის კათეტერიზაციის წარმოება (3 მანიპულაცია).</p>	<p>იხ. მე-6 თავი.</p>

III. პროგრამის საინციფიური ნაწილი

პროფესიული მზადების მე-2 ფლის მოდულები

მოდული 2.1.

- მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა - **მოზრდილთა კლინიკური ნევროლოგია - (10 თვე)**
- მოდულის მიზანი - ანამნეზის მოპოვებისა და ანალიზის უნარის, ნევროლოგიური გამოკვლევა-გასინჯვის ტექნიკის დახვეწა, სრულფასოვანი დიფერენციალური დიაგნოზი და შესაბამისი თერაპიის არჩევა. წერითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება. ზოგადი ნევროლოგიური პრობლემების შეფასება და მკურნალობა: გადაუდებელი მდგომარეობები (კომა, ცნობიერებისა და მენტალური სტატუსის ცვლილებები, ინსულტი, გულყრა) და ამბულატორული პრაქტიკის გავრცელებული პრობლემები (თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, წელისა და კისრის ტკივილი, პერიფერიული ნეიროპათია). ეპილეფსიის, გაფანტული სკლეროზის, პარკინსონის დაავადების და სხვა მოძრაობითი დარღვევების, ნერვ-კუნთოვანი დაავადებების, დემენციის, ცნს-ის ინფექციების, ნერვული სისტემის სიმსივნეების დიაგნოზირება, შეფასება და მკურნალობა. ნერვული სისტემის განვითარების ანომალიების შეფასება და მკურნალობა. ოკუპაციური მედიცინის და რეაბილიტაციის ძირითადი პრინციპების შესწავლა; პაციენტების შეფასება და სამკურნალო არსენალში არაფარმაკოლოგიური მეთოდების ჩართვა. წრთობის პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რეზიდენტების ალგორითმული კლინიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მათ მზადყოფნაზე ჩაერთონ დისკუსიაში მრავალფეროვანი დიაგნოზური და თერაპიული ტაქტიკური პრობლემების ირგვლივ.
- **ლიტერატურის ნუსხა –**
- Ropper A and Samuels M: Adams and Victor’s Principles of Neurology. (9th ed.), New York, McGraw-Hill

Professional, 2009

- Rowland LP: Merritt's Textbook of Neurology. (12th ed.), Baltimore, Lippincott Williams & Wilkins, 2009
- Clinical Neurology. 8/E by David Greenberg, Michael Aminoff and Roger Simon. 2012
- Brazis P, Masdeu J, and Biller J, Localization in Clinical Neurology. (5th ed.), Lippincott Williams & Wilkins, 2006
- Posner JB, Saper CB, Schiff N, and Plum F, Diagnosis of Stupor and Coma. (4th ed.), Oxford University Press, USA, 2007
- Clinical Neurology. 27/E. Stephan Waxman. 2013
- Aminoff M, Neurology and General Medicine (4th ed.), Churchill Livingstone, New York, 2007
